№ 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმიდაო მთავარანგელოზო მიქაელისო ადიდენ მეფენი ბაგრატოვანნი და ერთობილი საქართველო

წარწერა XIII-XIV საუკუნის სვანურ ჭედურ ხატზე

# ს ა ნ თ ე ლ - ს ა კ მ ე ვ ე ლ ი

(მისალმება დაკვალიანებით)

ჩვენს პარტიას ესალმება ცნობილი ქართველი კინორეჟისორი, ბატონი ლერი სიხარულიძე, ადამიანი, რომელსაც აღმოაჩნდა უდიდესი სულიერი სიძლიერე და ვაჟკაცობა, რათა თავისი მრწამსი საჯაროდ გამოეტანა. 200 - -წლოვანი პირშიბურთგაჩრილი დუმილის შემდეგ ქართველთაგან პირველმა ხმამაღლა გააცხადა ღვთითკურთხეული და მირონცხებული ბაგრატიონთა ტახტის აღდგენის იდეა.

/იხ, „ქართული ფილმი„ № 39 /I40/ I989წ/.

სულით, გულით და ორივე ხელით მივესალმები სრულიად ახალი ეროვნული ძალის გამოსვლას ასპარეზზე ეროვნული თავისუფლებისათვის ყველაზე მძიმე და ხანგრძლივი ბრძოლის 200-წლიან ისტორიაში!

კონსტიტუციურ-მონარქიული იდეა არის ეროვნული მოძრაობის ახალი აღმავლობის დასაწყისი.

მაგრამ ეს ძალა (მისწრაფება) ამავე დროს ყველაზე ძველი, ყველაზე ორგანული ეროვნული ძალაა ქართველი ერის არამარტო ბოლო ორი საუკუნის, არამედ მთელი მისი პოლიტიკური ისტორიის მანძილზე, ვინაიდან მხოლოდ ამ ძალას გააჩნია იდეურ-პოლიტიკური იარაღი და ისტორიული უფლებამოსილება გასდოს ცოცხალი ხიდი ჭეშმარიტად თავისუფალ მონარქისტულ (ბაგრატიონულ) 3 000 წლის ვეება ისტორიის მქონე მონარქისტულ საქართველოსა და, მართალია დღე-მოკლე, მაგრამ სულით მაღალ და ჭეშმარიტად დემოკრატიულ საქართველოს შორის კონსტიტუციურ-მონარქისტული სახელმწიფოს შექმნის იდეით!

ქართველი ერის ისტორიული ბედ-იღბალი აბსოლუტურად განსხვავდება თავისუფლებისათვის მებრძოლ ბალტიისპირელთა თუ მოლდაველთა, სომეხთა თუ ინგუშთა ისტორიული ბედისაგან - ქართველ ერს არ შეუძლია თავის ისტორიას უცქიროს მუზეუმში! იგი უნდა ცოცხლობდეს მასში!

დიახაც რომ დღეს უნდა აჩვენოს ქართველმა ხალხმა 50 საუკუნე რისთვის გვზიდა დედამიწამ და რატომ გვითმინა მამაზეციერმა!

დღეს რეკავს ზარი განგაშისა, რათა ქართველმა ერმა კაცობრიობას დაუმტკიცოს, რომ არა ხოლო მფარველობითი კალთისა ღვთისმშობლისა და არა ხოლო თანადგომითა ღმრთისა მოვაწიეთ აქამდე და აწიც ღირსეულად უნდა გავწიოთ კაცობრიობის საერთო ჭაპანი.

ამიტომ ღრმად მჯერა, რომ თავისი უნივერსალური პოლიტიკური მრწამსით ეს ძალა (მიუხედავად თავისი მცირე რიცხოვნებისა) არის ერთადერთი სიმძიმის ცენტრი ქართულ ეროვნულ მოძრაობაში და ამ ცენტრის გარშემო ადრე თუ გვიან თავს მოიყრიან ეროვნული ძალები!

ვაშა, ასეთ ახალ საქართველოს!

მაგრამ მიუხედავად თავისი უნივერსალური ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსისა (და არა თავისი მცირერიცხოვნებისა) არის რიგი ეროვნული პრობლემები, რომელთა დაყენებისა და გადაჭრის უფლებამოსილება ყველაზე მეტად ეხელეწიფება ამ ახალ ქართულ ძალას (დაე, იურიდიულად უღიარებელ პარტიას!).

ჩემი აზრით, ეს კონკრეტული პრობლემები მართალია არც ისე ბევრია, მაგრამ სამაგიეროდ ბარე ათ პარტიას ეყოფა სამუშაოდ:

I

ორასი წლის მანძილზე გულმოდგინე და მზაკვრული „დამუშავების“ შედეგად, როგორც ჩანს, ქართველმა ერმა დაკარგა ცოცხალი სულიერი კავშირი და მოწიწების უნარი ერთ დროს ღვთის ნებით მირონცხებული და დღეს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით სრულად გაუფასურებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურისადმი!

მიუხედავად ტელეეკრანებზე კანტი-კუნტი ინფორმაციებისა დღესაც კი გულმოდგინედ იჩქმალება ევროპის მონარქიულ სახელმწიფოთა ცხოვრების ნირი, კეთილდღეობა და, რაც მთავარია, ერისა და მეფის ურთიერთობა, რომლის დროსაც არავითარი რეპრესიები არ არის საჭირო რათა ერმა გულწრფელი თაყვანი სცეს და ალალი სიყვარული გაუმჟღავნოს მეფის კარს და არა პრემიერ-მინისტრს (რომელიც მართალია, დღენიადაგ იღვწის თავისი ერისა და სახელმწიფოს მიმდინარე სვეზე და ბედზე, მაგრამ მას არ აზის მირონცხებულობის საუკუნეებში ნაწრთობი ბეჭედი).

სწორედ ასეთი ინფორმაციის დეფიციტია მიზეზი იმისა, რომ ქართველი საზოგადოება, ჯერაც ასე უნდობლად უყურებს ქართული მონარქისტული (ბაგრატიონული) იდეების აღორძინებას იქამდეც კი, რომ გაჩნდა შიში ბატონ-ყმობის აღდგენისა!!!

მე იმედი მაქვს, რომ ქართველ მონარქისტთა პარტია ენერგიულად იზრუნებს იმისათვის, რომ ქართველობამ თვალი აიხილოს, მეტი ინტერესით მოეკიდოს იმ სახელმწიფოებრივ სტრუქტურას, რომელსაც საერთო არაფერი აქვს არც ცარიზმთან და არც ბონაპარტიზმთან! რომ ეს სისტემა არის შენივთება ერის სულიერი და ისტორიული პიროვნებისა მის ყოველდღიურ საქმიანობასთან!

II

ქართული ეროვნული პრესტიჟის ამაღლება და ისტორიული უფლებების დამკვიდრება:

მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მძლავრი მხარდაჭერის გარეშე მე პირადად ვერ წარმომიდგენია მიღწევა თავისუფლებისა და თუ ამას მაინც მივაღწევთ, ჩვენ შეგვრჩება რეპუტაცია მჩაგვრელი ერისა და მცირე იმპერიისა!

აქედან გამომდინარე კიდევ ჯაფა დაადგება მის შენარჩუნებას!

მე იმედი მაქვს, რომ სწორედ ეს პარტიაა უფლებამოსილი შექმნას და გააცნოს მსოფლიოს ქართველი ერის ისტორიულ, პოლიტიკურ, ტერიტორიულ და კულტურულ მონაპოვართა და უფლებათა დეკლარაცია! მანიფესტი, რომელიც დაანახებს არა მარტო სახალხო დეპუტატთა ყრილობას, რომ ქართველმა ერმა 3 000 წლის უწყვეტი სახელმწიფოებრიობით და თავისთავადი კულტურით ღირსეულად მოიპოვა უფლება ერთპიროვნულად ფლობდეს და განაგებდეს იმ ტერიტორიას, დღეისათვის რომ შემორჩა!

III

„ახალ ძალას“ ყველაზე მეტად ხელეწიფება ქართველთა აღორძინებული ქრისტიანიზმი კიდევ უფრო ღრმად (საქმიანად!) შეაკავშიროს ქართველთა სახელმწიფოსთან!

ქართულ ეკლესიას არასდროს აკლდა ეროვნულობა და თანადგომა სახელმწიფოსი ხვნაშიც და ხმლის ქნევაშიც, მაგრამ დღეს იგი იძულებულია უმეტესად თავისი მრევლის ქრისტიანობაზე შემოსაბრუნებლად იფიქროს და იღვაწოს! ეს, რა თქმა უნდა, ვეება მნიშვნელობის ეროვნული საქმეა, თუკი უკან მოვიხედავთ და თვალ და გონება შეუმკრთალად გავხედავთ 70-წლიან წყვდიადს რწმენისა და ურწმუნობისას, მაგრამ თუკი ამ „ახალ ძალას“ ქრისტესთან ერთად სწამს „ბაგრატოვნული“ საქართველოსი, ჩემის აზრით, საჭიროა ქართული ეკლესიების საკურთხევლებზე ახალი და ძველი აღთქმის გვერდით ასევე საფიცრად და რწმუნად ესვენოს „ქართლის ცხოვრება“.

მხოლოდ I200 წელი იარსება ებრაელთა სახელმწიფომ და 2000 წელი მოუნდა ეს ტანჯული ერი თავისი ეროვნული სახელმწიფოს აღდგენას!

3000 წლის უწყვეტი(!) სახელმწიფოებრიობის მანძილზე ქართველ ერს უამრავჯერ წინამძღოლობდნენ დავითსა თუ სოლომონზე არანაკლებად ღირსეული მეფენი და მოძღვარნი!

„ქართლის ცხოვრება“ მხოლოდ მხარს დაუმშვენებს და განამტკიცებს ბიბლიისადმი რწმენას და პატივისცემას მთელი ერისაგან! ეს იქნება ქართული ეკლესიისა და ახალი ქართული სახელმწიფოს თანამოღვაწეობის მომასწავებელი პირველი ნაბიჯი! იგი ერთურთით აამაღლებს ერთურთის ავტორიტეტს!

ქართველ მონარქისტებს შეუძლიათ დაამტკიცონ, რომ „მათთან არს ღმერთი“ და სხვასთან არავისთან.

IV

რამდენიმე თვის წინ მე პირადად ვერც წარმოვიდგენდი, რომ მსოფლიოში და რუსეთში რუსული მონარქიზმი ასე ძლიერი და ასე სერიოზული ძალა იქნებოდა!.. დღეს „პამიატიც“ მიხვდა, როგორც ჩანს, რომ მისი მოძრაობის არსი რუსული მონარქიზმის რესტავრაციის იდეაა! რუსი ერი საოცარი ფენომენია მსოფლიოს ისტორიაში! 400 წელზე მეტია მთელი ევროპა და მთელი მსოფლიო ეჯაჯგურება და ვერა და ვერ ჩაუქრეს ეს საოცარი იმპერიული სული - სივრცეთა დაპყრობის ეს კოლოსალური სწრაფვა! ვერა და ვერ მოთოკეს და მე ღრმად მწამს, ვერც მოთოკავენ ოქროს კოჭების გორების პოლიტიკით! ამიტომ, თუ რუსმა ერმა შინაგანად გადაწყვიტა და ჩაინერგა გონებაში მონარქიის აღდგენა ამას წინ აღარაფერი დაუდგება!.. „ცარ-ბატიუშკა“ - ცხადია უკვე ძველებურად ბორგავს ამ გამოუცნობ ერში!

მაგრამ ქართული ეროვნული მოძრაობის ახალი ძალა ვალდებულია ყველაზე ფხიზლად განჭვრიტოს ქართველთა ბედ-იღბლის ყველა ძველი და ყველა ახალი ვარსკვლავი, ვინაიდან მწარე გამოცდილება გვიკარნახებს, რომ დღეს საქართველო და ქართველობა ისევე და იმ სახით სჭირდება რუსულ იმპერიას როგორც 200 წლის წინ. მე ისიც კი მეჩვენება, რომ საქართველო რუსული მექანიზმისათვის არის რაღაც „საჯილდაო ქვა“ ან პრესტიჟული თილისმა.

მართალია გეორგიევსკის ტრაქტატში უტიფრად ცბიერმა რუსულმა დიპლომატიამ მაინც გააპარა ბაგრატიონთა ტახტისა და ქართულ ეკლესიის პოლიტიკური სტატუსის დამამცირებელი ნიუანსები, მაგრამ სამაგიეროდ, დღეს რომ საქმე საქმეზე მიდგეს იმედია ბაგრატოვანთა მხარეს არ გაეპარება მსგავსი ნიუანსები, რომელთა უკან არა მგონია მოდერნიზებული ბორკილების ჟღარუნის გარდა რაიმე სანუგეშო ხმა მოისმას.

V

ქართველი ერის ზნეობრივი კოდექსის შექმნა:

ბოლო 200 და, განსაკუთრებით, ბოლო 70 წლის მანძილზე ჩვენმა ერმა იმდენი ახალი ქონი და იმდენი ახალი ჭუჭყი დაიდო ტანზე და ჩაიდო სულში, რომ დღეს უპრიანია ვილაპარაკოთ ტოტალურ ეროვნულ უპასუხისმგებლობაზე, ვიდრე ეროვნული მოძრაობის აღმავლობაზე!

ქართული ეროვნული მოძრაობის ამ ახალ ძალას და სწორედ მას და არა სხვას უნდა დაეკისროს ახალი ქართული ეროვნული ზნეობის კოდექსის (ამ სიტყვის იურიდიული ძალმოსილების სტატუსითაც კი) შექმნა მთელი ერის ტოტალური მხარდაჭერით.

VI

ქართულ მხარეთა ტრადიციული არსისა და დღევანდელი საქართველოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფის შესახებ:

საქართველოს ფიზიკურ რუკაზე რომ შემოვხაზოთ ისტორიულ ქართულ მხარეთა საზღვრები საგულისხმოა და შეიძლება მამულიშვილურად საამაყო სურათიც კი დაინახოს კაცმა:

-რომ ეს ოდიში და იმერეთი, ზემო, შიდა თუ ქვემო ქართლი, გურია თუ რაჭა, აფხაზეთი თუ ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი თუ კახეთი, როგორც გონივრულადაა ჩახაზული და ჩასმული ერთობლივ რელიეფსა და ერთობლივ კლიმატში; მეურნეობრივად რა გონივრულადაა დაოჯახებული თითოეული ქართული ტომი თავის კარმიდამოში და ეს კარ-მიდამოები რა გონივრულად ქმნიან ერთობლივ ეროვნულ სამეურნეო ოჯახს. და რომ თითოეული ტომის პოლიტიკური და სამეურნეო საზღვრები რა გონივრულად ემთხვევა ერთმანეთს.

ამის საპირისპიროდ კი გულსაკლავი სანახაობაა დღევანდელი საქართველოს I922 წლიდან მოყოლებული ადმინისტრაციულ-პოლიტიკური რუკა, რომელზეც ამ ისტორიული ეროვნული გონიერების საწინააღმდეგოდ რევოლუციის ბელადთა წაქეზებით და რევოლუციის არწივ-შევარდენთა ხელით სასიკვდილო განაჩენი აქვს გამოტანილი არამარტო ქართულ სამეურნეო და ეკონომიკურ ტრადიციებს, არამედ ეროვნულ-პოლიტიკურ ერთობასაც.

/დასასრული იხ. გვ. 6/

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ილია ჭავჭავაძე - საქართველოს სამეფოს

# აღდგენაზე მეოცნებე



ვისაც კი ოდესმე ილია ჭავჭავაძის სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებზე დაუწერია,ამოსავალ დებულებად ყველასათვის ქცეულა ლელთ ღუნიას სიტყვები: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“.ზოგადად ამით განსაზღვრავდნენ ხოლმე ილია ჭავჭავაძის,როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშის მრწამსს.უკეთეს შემთხვევაში ილიას ბიოგრაფიიდან მოჰყავდათ ის სამოქმედო პროგრამები, რომელთაც იგი უსახავდა თავის ხალხს მიმდინარე პოლიტიკურ სიტუაციაში.

განსახილველი საკითხისადმი დიდი პასუხისმგებლობა და კონიუნქტურით განპირობებული მოსაზრებები ზღუდავდა მკვლევარებს,უფრო შორსმიმდინარე დასკვნები გაეკეთებინათ: სახელდობრ,თუ როგორ წარმოედგინა ილიას საქართველოს სახელმწიფოებრივი მომავალი იდეალურ ვითარებაში.

მკითხველის სულგრძელობისა და მიმტევებლობის გათვალისწინებით,წერილის ავტორი თავს ნებას აძლევს, შეჰბედოს მას მოკრძალებული ვარაუდი და წარმოუდგინოს ილიას პორტრეტი,როგორც საქართველოს სამეფოს აპოლოგეტისა და მისი აღდგენის მოსურნისა დამოუკიდებელსა და თავისუფალ საქართველოში.

ამ მიზნით თავდაპირველად ილიას შემოქმედებიდან ის ადგილები იქნება მოხმობილი,სადაც იგი ღვთიური წარმოშობის იდეასა და აღმატებითს შეხედულებებს ამკვიდრებს ქართველ მეფეებზე,ხოლო შემდეგ - ცალკეული მაგალითები,რომლებიც ცხადად თუ ფარულად ამხელენ ილიას ოცნებას თავის იდეალზე.

უპირველესად უნდა ითქვას,რომ ილია განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულით წერს ყველა იმ მეფეთა შესახებ,რომლებსაც თავი გამოუჩენიათ ერის წინაშე თავიანთი მოღვაწეობით.

ფარნავაზიდან მოყოლებული („აჩრდილი“) დიდებით მოიხსენიებს საქართველოს ღირსეულ მეფეთა სახელებს: გორგასალს,დავითს,თამარს („აი,ისტორია“).მთელ პოემას წერს დიმიტრი თავდადებულზე. ცალკე წერილებს უძღვნის დავით აღმაშენებელსა და ლუარსაბ წამებულს. შარავანდედით მოსავს თამარის სახელს სრულიად სხვადასხვა ნაწარმოებებში.

მაგრამ იმისათვის,რომ დაამკვიდროს ხალხში მეფის ერისადმი მზრუნველობისა და თავდადების იდეა, ილია ხშირად მიმართავს მათი ღვაწლის ზოგადად წარმოსახვას:

ა). ქართველი მეფეები იბრძვიან საქართველოს სახელის სადიდებლად სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ:

„საქართველოს მეფენი,ჰგრძნობდნენ რა სიდიადეს წმიდათა მამათა მოღვაწეობისას საქართველოს გარეთ, არა ჰზოგავდნენ არა სახსარს,რომ ქონებით ულონობა და ნაკლებულობა არა ჰქონოდათ მონასტრებსა და ეკლესიებს, ქართველებისას. ამიტომაც ყველაზე უფრო შემწირველნი მეფენი იყვნენ. დიდძალი მამულები შეჰსწირეს,დიდძალი ყმები,რომ ამ გზით წყარო ცხოვრებისა შეუწყვეტელი ყოფილიყო ქართველთა მოღვაწეთათვის საქართველოს გარეთ სადიდებლად და გასაძლიერებლად ქრისტეს სარწმუნოებისა“ („ათონის ქართული სავანის შესახებ“, ტ.VIII, გვ.306).

ბ). საქართველოს მეფენი იღვწიან საქართველოს კეთილდღეობისათვის შინ:

თუ გავითვალისწინებთ ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებას,რომ ილია ჭავჭავაძეს მიწისმფლობელობის წესი მიაჩნდა „იმ ეკონომიურ საფუძვლად,რომელმაც ქართველ ერს მრავალრიცხოვან მტრებთან ესოდენ ხანგრძლივი ბრძოლის წარმოება შეაძლებინა“, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქართველ მეფეთა მცდელობა ამ წესების განუხრელად დაცვისათვის.ილია თავის დასკვნაში აღნიშნავს: „აქედამ ცხადია,ჩვენი მეფეები რას უნდა გაჰფრთხილებოდნენ.როგორც ეტყობა,უფრთხილდებოდნენ კიდეც...“ („ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“ ტ.IV. გვ.177).

გ). ქართველი მეფეები იხსენიებიან თვით ისეთ შემთხვევებშიც კი,სადაც თითქოს საამისო აუცილებლობა არ არსებობს. ილია ცდილობს მათი ღვაწლის საგანგებოდ წარმოჩენას:

„როდესაც არაბები საქართველოში შემოვიდნენ და მაჰმადიანობის გავრცელებას ცდილობდნენ,ეხლანდელი ოსმალეთის საქართველო ქრისტიანობისათვის იღვწოდა ბაგრატიონების მეთაურობითა და წინამძღოლობითა„ („ოსმალოს საქართველო“ ტ.IV, გვ.II).

იმისათვის,რომ გამაჰმადიანებული საქართველოს მიწა-წყალი უძველესი ქრისტიანობის აკვნად გამოეცხადებინა,ილიასათვის სრულიად საკმარისი იყო ეთქვა არაბთა ექსპანსიის წინააღმდეგ მკვიდრი მოსახლეობის შეურიგებლობის შესახებ და იქვე დაესვა წერტილი. მაგრამ ილია განზრახ უსვამდა ხაზს ბაგრატიონების „მეთაურობასა და წინამძღოლობას“, რადგან ამით ქვეცნობიერად ამკვიდრებდა მკითხველის შეგნებაში ამ წინამძღოლობის კეთილისმყოფელ სურათს და იწვევდა მათი სახელებისადმი მოკრძალებას და თაყვანისცემას.

ქართველ მეფეთადმი ასეთი დამოკიდებულება მჟღავნდება ილიას ყოველ ნაწარმოებში ,მაგრამ გამორჩეული ადგილი მაინც თამარ მეფეს ეკუთვნის.„გლახის ნაამბობში“სიკეთის მადლით ცხებული მღვდლის პირით სრულიად განსაკუთრებული სიამაყითა და ღირსებით აღწერს ილია თამარის ეპოქას:

„თუ წელში გამართულა როდისმე ჩვენი ქვეყანა,ეგ იმის მეფობის დროს გაიმართა.მზეს თუ როდისმე საქართველო გაუნათებია და გაუთბია,იმის დროს ყოფილა; სიტყვას თუ ძალა გამოუჩენია,გულსა სიმტკიცე, მკლავსა სიმაგრე,ეგ დალოცვილის მეფის თამარის დედობის დროს მომხდარა! ის დედა იყო,ჩვენ შვილები“...

როდესაც ილია თამარს „დედას“უწოდებს,მხოლოდ სვიანი მეფობა და დიდთა საერო საქმეთა ქმნა არა აქვს მხედველობაში.მანამდე ქართველ ერს დედა-ღვთისმშობლის გარდა „დედა“ ასეთი ყოვლისმომცველი მნიშვნელობით არავისთვის უწოდებია.როდესაც ილია თამარს უწოდებდა „დედას“,აქ მისი ღვაწლის მიღმა ბაგრატიონთა გვარის ღვთაებრივი წარმომავლობაც ჰქონდა უთუოდ ნაგულისხმევი.

იგივე ხდება მეფე დიმიტრი თავდადებულის მიმართაც.ილიასათვის დიმიტრი მამაა ერისა.ურდოში გასამგზავრებლად განმზადებულს,შიშით მიმართავს მას ქართველობა:

„მაგრამ ჩვენ რა გვეშველება,
ჩვენ,მეფეო,შენს დამკარგველთ?
მამობასა ვიღა უზამს
შენგან დაობლებულ ქართველთ?“

ხოლო რაკი თავად მეფე დიმიტრიმ იცის,რომ: „ეს ქვეყანა ღვთისაგან აქვს მონაბარი“,ამ დიდი ვალის შეგნებით მიმართავს ღმერთს:

„ღმერთო,ღმერთო!თვალწინ მიდგა
დიდტანჯული მე ძე შენი...
ვით ძით ყველა,ისეც ჩემით,
ერი ჩემი დაიხსენი“.

მეფის ლოცვაში ერთდროულად ვლინდება როგორც მისი მტკიცე და შეუდრეკელი ხასიათი,ამავე დროს - გარკვეული უფლებამოსილებაც,საკუთარი განცდების ძე-ღმერთის განცდებთან გათანაბრებისა. ამგვარად ილია ხარკს უხდის ქართულ ისტორიოგრაფიულ ტრადიციას,რომელიც ქართულ სამეფო გვარეულობას ღვთიურ საწყისებთან აკავშირებს.

ხოლო პირველი ლექსი,სადაც ილია ჭავჭავაძე დაუფარავად ამხელს თავის პოლიტიკურ მრწამსს,არის „იანიჩარი“. 1860 წელს დაწერილ ამ ლექსში აღწერილია ივერიელი მხედრის სიჩაუქე და ოსტატობა,რომელსაც იგი თავისი ქვეყნის დამმონებელ ხელმწიფის წინაშე ამჟღავნებს. პოეტი სინანულს გამოთქვამს ამის გამო:

„ვსთქვი,თუ ვისთვის შენ კისკასობ,
ვისთვის იჩენ სიმარდესა?
შენი რაა,რომ ამშვენებ შენს დამღუპველს
ოსმალეთსა?
შენს სიმარდეს,სიჩაუქეს ქართლი შენი
არ დაჰყურებს,
მეფე შენი თავის ქებით ჭაბუკს გულს
არ გიხალისებს!...“

რომც არ არსებობდეს ლექსის თავდაპირველი ვარიანტი,ჩვენთვის მაინც ადვილი იქნებოდა ქართველი კონდოტიერის სათანადო გეოგრაფიულ გარემოსთან დაკავშირება. მაგრამ რადგან არსებობს,ამდენად იგი სავა მხრივ არის საყურადღებო: ორიგინალში ლექსის სათაური ყოფილა: „კანვოელს“,ხოლო ზემოთმოყვანილი სტროფის მეორე ტაეპში ნაცვლად „შენს დამღუპველს ოსმალეთსა“ეწერა: „შენით ბნელსა ჩრდილოეთსა“.მართალია,ილიამ საბოლოოდ ლექსის იგავური ფორმა აირჩია,მაგრამ პირვანდელი სათაურითა და შინაარსით დასტურდება,რომ იგი ასახავს სიუჟეტს რეალური სინამდვილიდან.ლექსის გმირი ყმაწვილისათვის სწორედ ამ რეალურ სინამდვილეში არ არსებობს „მეფე შენი“. სამაგიეროდ არსებობს „მეფე სხვისი“.ხოლო ამ სხვისა მეფესთან მისგან თავის გამოჩენას და ამდენად,ეროვნულ ძალთა მტრის სამსახურში ჩადგომას ვერ ეგუება ილია. ამავე დროს,რადგან ლექსი რეალურ გარემოშია წარმოშობილი და სავსებით შეესატყვისება იმდროინდელ ვითარებას,საკუთარ („მეფე შენი“) მეფეზე ნატვრა ილიას მისწრაფებად უნდა მივიჩნიოთ და „იანიჩარი“ კი შემოქმედების იმ ნიმუშად,სადაც ილია ავლენს თავის სიმპათიებს სამეფო ხელისუფლებისადმი.

ილიას შემოქმედების მკვლევარნი თვლიან, რომ თავისი მოღვაწეობის დასაწყისში იგი ესწრაფვოდა საქართველოს სრულ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას. სამაგიეროდ ერთსულოვანნი არიან მისი ცხოვრების მომდევნო ეტაპების შეფასებაში და მიაჩნიათ,რომ არსებულ პოლიტიკურ ვითარებათა გამო მან თავის ლოზუნგზე უარი თქვა და მიემხრო საქართველოს ავტონომიას რუსეთის იმპერიის ფარგლებში.

მაგრამ,მართლა თქვა ილიამ საქართველოს რუსეთისაგან გამოყოფაზე უარი და თვითონვე დაასამარა ჭაბუკობაშივე ჩასახული ოცნება? რეალური ფაქტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ,თითქმის ასე გამოდის: 1905 წელს იგი თავად იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი,რომელიც მოითხოვდა მსგავს ავტონომიას.

ხოლო თუ ფაქტების მიღმა ილიას ჭეშმარიტ თვალსაზრისს ჩავწვდებით,მაშინ ცხადი გახდება,რომ ასეთი საქციელი მხოლოდ დროის შესაფერი დროებითი კომპრომისი იყო.

როგორც ილიას თანამედროვე,ექიმი და საზოგადო მოღვაწე ვასილ წერეთელი აღნიშნავდა: „ეროვნული ავტონომია არ მიაჩნდა ილიას საბოლოო იდეალად... ამას სხვათა შორის ისიც ამტკიცებს,რომ ილიამ პირველი რევოლუციის დროს ხელი არ მოაწერა ინტელიგენციის მიერ შედგენილ პეტიციას,რომელიც თავადაზნაურობის დეპუტატთა კრების სახელით უნდა წარედგინათ რუსეთის სათათბიროსათვის: ეს პეტიცია მოითხოვდა საქართველოსათვის ავტონომიას, ილია კი სეპარატისტი იყო (ხაზი ჩემია-ზ.ა.) („მოგონებანი ილია ჭავჭავაძეზე“,გაზ.„ლიტერატურული საქართველო“ 23.X.1987 წ.).

ესე იგი,თუ ილია სეპარატისტი იყო,მას 1905 წელსაც კვლავინდებურად სურდა საქართველოს რუსეთისაგან გამოყოფა და,ცხადია,არც თავისი მონარქიული შეხედულებები ექნებოდა დავიწყებული.

იმის თაობაზე,რომ ილიას არ შეუცვლია თავისი მსოფლმხედველობა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, სრულყოფილ წარმოდგენას გვაძლევს ფრაგმენტი ნინო ნაკაშიძის მოგონებიდან,რომელიც 1905 წლის რევოლუციის პერიოდში არის ჩაწერილი. საუბრის გმირები არიან ილია ჭავჭავაძე,ნასაკირალის აჯანყების მონაწილე გლეხი გოგელია და საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე თამარ გრუზინსკაია - თავადაც ბაგრატიონი და მეუღლე ერეკლე მეფის შვილიშვილის,ირაკლისა. ილია აცნობს გურულს გრუზინსკაიას და ეუბნება:

„თქვენ იცით,ეს კნეინა გრუზინსკაია,ჩვენი თავმჯდომარე,საქართველოს რომ თავის მეფე ჰყოლოდა, ახლა ჩვენი დედოფალი იქნებოდა.

გოგელიამ სწრაფად შეხედა გრუზინსკაიას.

-ოჰ,ბატონო,ეს რომ ჩვენი დედოფალი ბრძანებულიყო ერთ წელიწადს კიდევ მოვითმენდი,დავიცდიდი და რევოლუციას არ მოვახდენდი“.

ამ ნაწყვეტში,გარდა ილიას სრულიად გარკვეული დამოკიდებულებისა საკითხისადმი,გურული გლეხის დადებითი პასუხიდან ჩანს ხალხის წიაღში ჩაბუდებული ოცნებაც თავის ქართველ ხელისუფალზე.დიალოგი შემდგომ ასე გრძელდება:

/ დასასრული იხ. გვ. 6 /

№ 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვის ეკუთვნის საქართველოს ტახტი?

ქართველთა მეფენი მარჯვენა მხარზე
არწივის ნიშნით იბადებოდნენ

მარკო პოლო

ვის შეიძლება ეკუთვნოდეს საქართველოში სამეფო ტახტი? რა თქმა უნდა ბაგრატიონებს, მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს დინასტიას, რომელიც ათას წელზე მეტ ხანს სვიანად განაგებდა ერთიან ქართულ მონარქიას და ცალკეულ სამეფოებს. ამ დინასტიასთან არის დაკავშირებული ჩვენი ისტორიის უბრწყინვალესი ფურცლები, იგი წინამძღოლობდა ერს ძნელბედობის ჟამსაც და, თუ საჭირო ხდებოდა, მისი წარმომადგენლები სამეფო გვირგვინს წამებულის გვირგვინზეც ცვლიდნენ. შორს წაგვიყვანდა იმის ჩამოთვლა, თუ რამდენი დიდებული პოლიტიკოსი, მხედართმთავარი, მწერალი და სწავლული შესძინა ჩვენს ქვეყანას ამ საგვარეულომ. ან თუნდაც ის რად ღირს, რომ ბაგრატიონები მეფეთაგან ერთადერთნი იყვნენ, ვინც ბოლომდე, XIX საუკუნის დამდეგამდე ქვეშევრდომების მხარდამხარ პირადად მონაწილეობდნენ სამშობლოს თავისუფლებისათვის გადახდილ ბრძოლებში. ისტორიამ არ იცის სხვა სამეფო სახლი, ეგზომ თანაზიარი რომ ყოფილიყო თავისი ხალხის ჭირისა თუ ლხინისა. ეს დინასტია ხალხს არ დაუმხია, იგი ვერაგულად, ღვთისა და კაცის კანონის საწინააღმდეგოდ ჩამოაცილა ხელისუფლებას ერთმორწმუნე მოძმედ ნაგულვებმა ჩრდილოელმა მეზობელმა და ღვთისა და კაცის კანონისავე თანახმად ბაგრატიონებს კვლავაც ეკუთვნით მეფობის უფლება. საქართველომ ბაგრატოვანთა გვირგვინთან ერთად დაკარგა თავისუფლება და მასთან ერთად უნდა დაიბრუნოს სამუდამოდ (სიტყვამ მოიტანა და, ჩვენი ღრმა რწმენით, 1918-1921 წლებში აღდგენილი დამოუკიდებლობა იმიტომაც გამოდგა ესოდენ დღემოკლე, რომ მას ორიათასწლოვანი მონარქიული სახელმწიფოებრიობის მადლი არ ეცხო). ეს დღე შორს აღარ არის და როცა იგი დადგება, დარწმუნებული ვართ, ქართველი ერის ნებით საქართველოს დედა ტაძარში, სვეტიცხოველში ორი საუკუნის მერე ისევ დაიდგამს გვირგვინს დავით აღმაშენებლის და თამარ შვიდმნათობიერის, დემეტრე თავდადებულისა და გიორგი ბრწყინვალის შთამომავალი.

მაგრამ სახელდობრ ვის ერგება ეს პატივი? ცხადია, გვარში უფროსს, უფროსს არა ასაკით, არამედ ლეგიტიმური, ანუ მემკვიდრეობითი უფლებით. ეს პრინციპი ყველა სამართლებრივ და, მათ შორის, რასაკვირველია, ქართულ მონარქიაშიც გულისხმობდა და გულისხმობს მეფობის უფლების გადაცემას მამიდან შვილზე (თუ შვილი რამდენიმეა - უფროს ვაჟზე, თუ ერთია, ასულიც რომ იყოს - მასზე), ხოლო მეფის უშვილობის, ე.ი. პირდაპირი მემკვიდრის უყოლობის შემთხვევაში, ძმიდან მომდევნო ძმაზე (თუ ძმა არ ყავს - დაზე), და თუ არც ძმა ყავს და არც და, მაშინ უახლოეს ნათესავზე ჯერ მამრობითი, მერე კი მდედრობითი ხაზით; როცა მემკვიდრე ქალია, სპეციფიკური წესით, რომელიც მხოლოდ სამეფო ოჯახებზე ვრცელდება, იგი არამარტო მეფობის უფლებას იღებს, არამედ გვარსაც აგრძელებს, როგორც ეს თამარის დროს მოხდა (თუმცა მისი ქმარი, დავით სოსლანი, თვითონაც ბაგრატიონი უნდა ყოფილიყო - გიორგი I-ის შთამომავალი მეორე ცოლის, ოსთა მეფის ასულის ალდესაგან). ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია, რომ გიორგი IV ლაშა თამარის ძედ იხსენიება და არა დავითის (სხვათა შორის მსგავსი ვითარებაა, მაგალითად, დღეს ინგლისის, დანიის, ჰოლანდიისა და რუსეთის სამეფო სახლებში).

ღვთის შეწევნით, ბაგრატიონთა მედგარმა გვარმა გაუძლო ჟამთა სიავეს და სადღეისოდ რამდენიმე ოჯახითაც არის წარმოდგენილი, ოღონდ ავბედობამ იმდენი კი ქნა, რომ გვარიანად ჩახლართა ტახტის მემკვიდრის საკითხი და, ამიტომ, მის გასარკვევად საკმაოდ შორს მოგვიწევს დაბრუნება.

რაკიღა სრულიად საქართველოს მეფეზე ვმსჯელობთ, თავისთავად ნათელია, რომ საუბარი იმ ეპოქიდან უნდა დავიწყოთ, როცა საქართველო სამ - ქართლის, კახეთისა და იმერეთის - სამეფოდ დაიშალა და ბაგრატიონთა საგვარეულოც სამ შესაბამის შტოდ დაიყო. ეს ამბავი, როგორც ცნობილია, XV საუკუნის მე-2 ნახევარში მოხდა ალექსანდრე დიდის მემკვიდრეთა დროს. სწორედ ამ მეფესთან მიმართებით განისაზღვრება მისგან წარმომავალი შტოთა ურთიერთდამოკიდებულება და მათი უფლებანი ერთიანი საქართველოს სამეფო ტახტზე. საამისოდ გავიხსენოთ როგორ განვითარდა მაშინ მოვლენები: ალექსანდრეს შემდეგ, ტახტზე მისი უფროსი ვაჟი ვახტანგ IV ავიდა, მან იმეფა რამოდენიმე წელს და უშვილოდ გარდაიცვალა. მისი ადგილი ძმამ, გიორგი VIII-ემ დაიკავა, რომელიც ოცი წლის მერე იმერეთის მმართველთან, ბაგრატთან ბრძოლაში დამარცხდა, იძულებული შეიქნა კახეთში მეფობას დასჯერებოდა და ამ შტოს მამამთავარი გახდა, ხოლო ქართლ-იმერეთს ბაგრატი (VI) დაეპატრონა. ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ ქართლში აქაური შტოს ფუძემდებელი, ალექსანდრეს ვაჟის დიმიტრის ძე კონსტანტინე II გამეფდა, ბაგრატ VI-ის ძე, ალექსანდრე კი იმერეთში გაბატონდა და მისგან დაედო სათავე იმერეთის შტოს. წყაროთა სიმცირის, უფრო კი შეუსწავლელობის გამო კარგა ხანს ბუნდოვანი რჩებოდა ამ შტოთა ურთიერთმიმართება; მაგალითად, ბურუსით იყო მოცული იმერეთის შტოს მამამთავრის ბაგრატ VI-ის წარმოშობა - მისი ბაგრატიონობა ეჭვს არ იწვევდა, ოღონდ არ ჩანდა, რა დამოკიდებულება ჰქონდა მას ალექსანდრე დიდთან და ამიტომ, რაკი იგი თავდაპირველად იმერეთს მართავდა, გამოითქვა ვარაუდი ბაგრატის დავით VI ნარინისაგან ჩამომავლობის შესახებ. ასეთ შემთხვევაში იმერეთის შტო გვარში უფროსი გამოვიდოდა, რადგან, თუმცკი დავით ნარინი ასაკით თავის ბიძაშვილზე, დავით VII ულუზე უმცროსი და, ამას რომ თავი დავანებოთ, ქალის, ამასთან გიორგი IV ლაშას უმცროსი დის რუსუდანის შვილი იყო, მაინც დავით ულუზე მაღლა იდგა, ვითარცა კანონიერი ქორწინებით შობილი რუსუდანის მიერ ერთ-ერთი სელჩუკი სულთნის ვაჟისაგან, რომელიც საგანგებოდ მოინათლა კიდეც საამისოდ, მაშინ როცა დავით ულუ ლაშას საყვარელთან, ველისციხელ ქალთან შეეძინა. ამიტომ იყო, რომ ლაშას სიკვდილის შემდეგ რუსუდანი გამეფდა, მის მერე კი დავით ნარინი იმეფებდა უთუოდ ერთპიროვნულად (კიდეც იმეფა ორი წელი), მონღოლები რომ არა, რომლებიც უკანონო და კანონიერ შვილებს არ არჩევდნენ, რა მიზეზითაც მეფობა ორივე დავითს დაუმტკიცეს და საქართველოც ორად გაუყვეს. დავით ნარინს დასავლეთი ერგო და მან და მისმა ვაჟებმა აქ XIV საუკუნის პირველ მეოთხედამდე იმეფეს, სანამ დავით ულუს შვილიშვილმა, დემეტრე II თავდადებულის ძემ, გიორგი V ბრწყინვალემ საქართველო ისევ არ გააერთიანა. მას, ვახუშტის ცნობით, იმერეთის ერისთავად დაუდგენია ნარინის შვილიშვილი ბაგრატი, რომლის ბოლო ცნობილი შთამომავალი ალექსანდრე იყო, ერთ ხანს იმერეთის მეფედაც რომ გამოაცხადა თავი ორი წლის მანძილზე, როცა საქართველოს მეფე, გიორგი V ბრწყინვალეს შვილიშვილი ბაგრატ V თემურ-ლენგს ებრძოდა, მას უკან ნარინის შთამომავალთა კვალი არ ჩანს, ხოლო ბაგრატ VI ნარინის შთამომავლად მარტო გიორგი ბრწყინვალის თანამედროვე ბაგრატის სეხნიობისა და, როგორც ზევით ითქვა, უმთავრესად, იმერეთიდან მისი გამოჩენის გამო იქნა მიჩნეული, მაგრამ ამ ვარაუდს თვით ბაგრატისავე გაცემული დოკუმენტები აბათილებს - საბუთებში იგი თავს ვინმე გიორგის, ოღონდ არა მეფის, ძეს უწოდებს, ხოლო იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში ალექსანდრე დიდის ძმისწულობას უსვამს ხაზს; მართლაც, ალექსანდრე მეფეს ჰყავდა უმცროსი ძმა გიორგი, რომელსაც, ეტყობა, საუფლისწულოდ იმერეთი ჰქონდა მიცემული და ბაგრატიც უთუოდ მემკვიდრეობით მართავდა ამ მხარეს (ნარინის შტო, ეჭვი არ არის, XIV საუკუნის დამლევისათვის შეწყდა, ხოლო რაკი ასევე მხოლოდ სამეფო საგვარეულოთათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული წესით უკანონოდ შობილი შვილის შტო დინასტიის გამგრძელებლად იქცევა ხოლმე კანონიერის შთამომავლობის შეწყვეტისას, ამ ამბავმა აბსოლუტურად ლეგიტიმური გახადა ისედაც მამაკაცისაგან მომდინარე ლაშას შტო). ამრიგად, ბაგრატ VI ალექსანდრე დიდს ძმისწულად ერგებოდა და მაშასადამე, იმერეთის შტო გვარში ყველაზე უმცროსი გამოდის, როგორც ყველაზე ადრე გამოყოფილი და მამამთავარი მეფისაგან ყველაზე მეტად დაშორებული, თუმცა, სხვანაირადაც რომ ყოფილიყო, დღეს ამას უკვე მნიშვნელობა არ ექნებოდა, ვინაიდან ეს შტო, რუსთაგან იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ ბაგრატიონ-იმერეტინსკებად წოდებული, XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე შეწყდა. აქედან გამომდინარე, უფროსად კახეთის შტო შეგვეძლო ჩაგვეთვალა, რაკიღა ვახტანგ IV-ის შემდეგ სწორედ მისი მამამთავარი გიორგი VIII ავიდა ერთიანი საქართველოს ტახტზე, ე.ი. იგი ვახტანგის მომდევნო ძმა უნდა ყოფილიყო, მაგრამ საქმის ვითარებას აქაც უშუალოდ იმდროინდელი, ანუ უტყუარი საბუთები ფენს ნათელს - ალექსანდრე დიდის ყველა საბუთში, სადაც მისი ძეებიც არიან ხოლმე ჩამოთვლილი, ვახტანგის შემდეგ ყოველთვის დიმიტრი იხსენიება და მხოლოდ მოგვიანებით ჩნდება გიორგი, რომელიც მეორე ცოლისაგან შეეძინა ალექსანდრეს - ამდენად, ვახტანგის მომდევნო ძმა დიმიტრი ყოფილა. ჩვენი საკითხისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა მიზეზით არ უმეფია დიმიტრის, მთავარი ის არის, რომ მისი ვაჟი იყო კონსტანტინე II, რომლის ცოტა არ ეყოს მოულოდნელი გამეფება ქართლში, ანუ ცენტრალურ პროვინციაში, სადაც ქვეყნის სატახტო ქალაქი თბილისიც მდებარეობდა, უდავოდ ამ გარემოების, ე.ი. ლეგიტიმიზმის პრინციპის აღდგენის წყალობით მოხდა. როგორც დავრწმუნდით, ბაგრატიონთა საგვარეულოში უფროსი ქართლის შტო ყოფილა, რაც, სხვათა შორის, საცილობელი არავის გაუხდია ძველ საქართველოში და ამის გამოვე განაგრძეს ერთიანი საქართველოს მეფეთა სათავლავი სწორედ ქართლის მეფეებმა. ეს შტო, რომელსაც უკვე კონსტანტინე II-ის შვილების დროს ახალი, მუხრანის შტო გამოეყო, მალე კიდევ ორად გაიყო - კონსტანტინე II-ის უფროსი ძის დავით VIII-ის ვაჟის ლუარსაბ I-ის შვილების, სიმონ I-ისა და დავით IX, იგივე დაუდ-ხანის განშტოებებად, მაგრამ მალევე, XVII საუკუნის პირველ ნახევარში, მთლიანად შეწყდა უშვილოდ გადაგებული ლუარსაბ II-ის, სიმონ II-ისა და როსტომ მეფის შემდეგ (ამ პერიოდში, გარეშე ძალის ზეგავლენით, რამდენჯერმე დაირღვა ლეგიტიმურობა მეფეთშენაცვლებისას და იმავე მიზეზით, ტახტის მპყრობელთა შორის პირველად გამოერივნენ რჯულგანდგომილნი). სწორედ ამ უკანასკნელის მეფობაში შეენაცვლა ქართლის შტოს მისი განაყოფი და, ამდენად, უახლოესი მუხრანის შტო - უძეო როსტომმა იშვილა და ტახტის მემკვიდრედ დაამტკიცა კონსტანტინე II-ის მესამე ვაჟის (მეორე, გიორგი IX უძეოდ მოკვდა) ბაგრატის (პირველი მუხრან-ბატონის, თავისი ეპოქის გამოჩენილი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწის, ანტიმაჰმადიანური ტრაქტატის ავტორის) შთამომავალი, მარაბდის ბრძოლაში დაღუპული თეიმურაზ მუხრან-ბატონის ძე, მომავალი ვახტანგ V, სპარსთაგან შაჰ-ნავაზად წოდებული. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ზედმიწევნით იქნა დაცული ლეგიტიმიზმის პრინციპი (სხვათა შორის, ნახევარი საუკუნით ადრე. ზუსტად ასეთივე რამ მოხდა საფრანგეთში, სადაც შემწყდარი ვალუების ადგილი დაიკავა მათმავე უახლოესმა ნათესავმა, ფრანგული ფეოდალური ტერმინოლოგიით „სისხლის პირველმა პრინცმა“, ბურბონმა ანრი IV-ემ). ვახტანგ V-ის შთამომავლებმა დიდი ამაგი დასდეს არამარტო ქართლს, არამედ მთელ ჩვენს სამშობლოს (მარტო ვახტანგ VI-ის ღვაწლიც იკმარებდა ამის დასტურად), მაგრამ ისევ გარეშე ძალის ზეგავლენით მათ შორის ლამის წესად იქცა რჯულის დატევებაც და მეფეთმონაცვლეობის წესის დარღვევაც და სულ მალე, უკვე XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის ბოლოს, ისევ და ისევ უცხო ძალის ჩარევის შედეგად მათ საერთოდ დაკარგეს ტახტი - ირანის მბრძანებელმა ნადირ-შაჰმა ქართლის ტახტი კახეთის შტოს წარმომადგენელს თეიმურაზ II-ეს დაუმტკიცა, 1762 წელს მისმა ვაჟმა, კახეთის მეფემ ერეკლე II-ემ, მამის სიკვდილის შემდეგ ქართლ-კახეთი გააერთიანა, ხოლო მისი მემკვიდრის, გიორგი XII-ის მერე ეს სამეფო რუსეთმა შეიერთა. თუმც კი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე დადებული და შემდგომში მათ მიერვე დარღვეული გეორგიევსკის ტრაქტატით რომანოვებმა კახეთის ბაგრატიონები, ანუ ერეკლე II-ის ჩამომავლობა საქართველოს ტახტის კანონიერ მემკვიდრეებად ცნეს, ლეგიტიმიზმის თვალსაზრისით კახეთის შტო ქართლის, და ამდენად, სრულიად საქართველოს ტახტის მიმტაცებელი, უზურპატორი იყო (რაც, ცხადია, ოდნავადაც არ აკნინებს ამ შტოს მეფეთა, მეტადრე ერეკლე II-ის როლს ჩვენს ისტორიაში), ვინაიდან მთელი ამ დროის მანძილზე არსებობას განაგრძობდა რუსეთს გადახვეწილი ვახტანგ VI-ისა და სხვა ქართლელი ბაგრატიონების შთამომავლობა (მათი წარმომადგენელი, იყო, მაგალითად, რუსეთის ერთ-ერთი უდიდესი სარდალი, ნაპოლეონთან ომების გმირი პეტრე ბაგრატიონი). მას შემდეგაც, რაც ეს შთამომავლობა მთლიანად შეწყდა XX საუკუნის პირველ ნახევარში, რუსთაგან თავად გრუზინსკებად წოდებული კახეთის შტო, რომელიც ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის საოცარი მრავალშვილიანობის მიუხედავად ასევე საოცრად შემცირდა, მაგრამ გრძელდება დღესაც გიორგი XII-ის ერთ-ერთი ძის ბაგრატ ბატონიშვილის ჩამომავლის, ცნობილი ქართველი პოეტის პეტრე გრუზინსკის ვაჟის მეშვეობით, მაინც ვერ გაუფროსდა გვარში ერთი გარემოების გამო.

საქმე ის არის, რომ ვახტანგ V-ეს ჰყავდა უმცროსი ძმა კონსტანტინე, რომელსაც ერგო სამფლობელოდ უფროსი ძმის გამეფების შემდეგ მუხრანი და ამ დროიდან მისი მემკვიდრენი იწოდებოდნენ მუხრან-ბატონებად. მამამთავრიდან, ბაგრატიდან მოყოლებული მუხრანელები (კონსტანტინედან - მისი შთამომავლები), თუმცკი იურიდიულად ქართლის ერთ-ერთ წარჩინებულ თავადურ სახლს წარმოადგენდნენ, მაინც გამორჩეული იყვნენ სხვებში თუნდაც თავისი ბაგრატიონობის გამო (ამის გამოხატულება იყო მათი მოხსენიება უტიტულოდ, „უბრალოდ“ ბატონობით, როგორც მეფეებისა); გარდა ამისა მათ ებარათ ის სამხედრო-ტერიტორიული ერთეულის, ანუ სადროშოსსარდლობა, რომელშიც სამუხრანბატონოსთან ერთად ქსნისა და არაგვის საერისთავოები შედიოდნენ. ქართლ-კახეთის სამეფო კარზე მათ ამასთანავე ეკავათ უმაღლესი-სახლთუხუცესის პოსტი, მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ის შტო ერთგვარად თითქოს ჩრდილში იყო მოქცეული გვირგვინოსან შტოთა ფონზე და რუსთა ბატონობის ხანაშიც ეტყობა ამის წყალობით გადაურჩა სამშობლოდან გასახლებას, რასაც ვერც კახეთისა და ვერც იმერეთის შტოები ვერ ასცდნენ, რომლებმაც თავისდაუნებურად ქართლის (უფროსი მუხრანელის) შტოს ბედი გაიზიარეს. არადა, რუსების მიერ ჩვეულებრივ თავადურ საგვარეულოებთან საბოლოოდ გათანაბრებული სწორედ ეს შტო, უფრო ზუსტად, რაკი საამდროოდ უკვე ორად იყო გაყოფილი, მისი უფროსი განშტოება იდგა პირ-

/ დასასრული იხ. გვ. 5 / →

№ 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვის ეკუთვნის საქართველოს ტახტი? / დასასრული /

ველი მეფობის რიგში ქართლის შტოს არსებობის მანძილზე,როგორც მისი უახლოესი,და,ბუნებრივია,იგივე გახდა ტახტის კანონიერი პრეტენდენტი ვახტანგ V-ის შთამომავლობის შეწყვეტისთანავე,რადგან მთელ საგვარეულოში უფროსად იქცა.ამის დადასტურება იყო რუსეთის ტახტის მემკვიდრის,დიდი მთავრის ვლადიმერ კირილეს ძე რომანოვის 1946 წლის 5 დეკემბრის აქტი,რომლითაც მან ოფიციალურად ცნო ბაგრატიონთა სახლის უფროსი შტოსა და მისი მეთაურის გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელის მეფური ღირსება.ეს აქტი უაღრესად მნიშვნელოვანი იყო უწინარეს ყოვლისა საერთაშორისო რეზონანსით უკვე თვით მისი შედგენის საბაბის გამო-გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელის ერთადერთ ვაჟს ირაკლის ცოლად უნდა გაჰყოლოდა ესპანეთის მეფის დისწული,ე.ი. სამეფო ოჯახის წევრი (ახლანდელი მეფის ხუან-კარლოსის მამიდაშვილი) ინფანტა (ჩვენებური ბატონიშვილის მსგავსი ტიტულია)მარი დე ლას მერსედესი და მამამისმა, ბავარიის პრინცმა ფერდინანდმა სასიძოს ტოლგვაროვნების თაობაზე კითხვით მიმართა ვლადიმერ რომანოვს,ვითარცა ბაგრატიონების სიუზერენს გეორგიევსკის ტრაქტატის მიხედვით.ამდენად,რუსეთის ტახტის მემკვიდრისაგან ბაგრატიონთა მეფური ღირსების ცნობა და შემდგომ ირაკლი ბაგრატიონისა და ინფანტა მერსედესის ქორწინება ფაქტობრივად ევროპის სამეფო სახლების მიერ საქართველოს სამეფო დინასტიის თანასწორობის აღიარებას ნიშნავდა (მამის,გიორგის გარდაცვალების შემდეგ,1957 წლიდან ირაკლი ბაგრატიონი ოფიციალურად იყო ცნობილი საქართველოს ტახტის მემკვიდრედ და ასევე მოაწერა ხელი პირველმა იმ პეტიციას,რომელიც ქართული ემიგრაციის გამოჩენილმა წარმომადგენლებმა წარუდგინეს შვეიცარულ ბანკს, სადაც დიდი ქართველი მწერლის გრიგოლ რობაქიძის არქივი ინახებოდა და ის ფაქტიც,რომ ბანკმა შეიწყნარა ქართველ მოღვაწეთა თხოვნა და საჯარო ვაჭრობით არ დაანაწევრა ეს არქივი,გარკვეულწილად ტახტის მემკვიდრის ავტორიტეტითაც უნდა აიხსნას). ორ წელიწადში თვით ვლადიმერ რომანოვი დაქორწინდა ირაკლი ბაგრატიონის დაზე ლეონიდაზე,ხოლო,როცა მათი ასული მარიამი პრუსიის პრინცთან,გერმანიის საიმპერატორო დინასტიის წარმომადგენელთან ფრანც ვილჰემ ჰოჰენცოლერნთან შეუღლდა,ბაგრატიონები უკვე ევროპის რამდენიმე სამეფო საგვარეულოს დაუნათესავდნენ,რაც პირველად მოხდა ქართული სამეფო სახლის ისტორიაში და ფრიად საყურადღებოც არის საერთაშორისო პრესტიჟის თვალსაზრისით.მაგრამ,სამეფო სახლების გარდა,ბაგრატიონთა ეს შტო დანათესავებული არის ევროპის უწარჩინებულეს არისტოკრატიულ ოჯახებთანაც; სწორედ ერთი ასეთი საგვარეულოს წარმომადგენლის,იტალიელი გრაფის უგო პასკუინის ასულის,მარი-ანტუანეტისაგან შეეძინა 1944 წელს ირაკლი ბაგრატიონს პირმშო ძე,გიორგი (დედამისი მშობიარობას გადაჰყვა),რომელიც მამის გარდაცვალების მერე (1978 წლიდან) სამეფო სახლის მეთაური გახდა. რაღა თქმა უნდა,იგი არის საღდეისოდ ტახტის კანონიერი მემკვიდრეც,თუმცა მისი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი ჯერჯერობით ოფიციალურად ცნობილი არ არის. გიორგის ცოლად ჰყავს ესპანელი გრანდების (მეფის მომდევნო ტიტულია ამ ქვეყანაში)პონსე დე ლეონების გვარის ქალი მარი დე ლა პას მერსედესი, რომელმაც ოთხი შვილი - მარი-ანტუანეტი (1969 წელს), ირაკლი (1972 წელს), დავითი (1976 წელს) და უგო უშვა. მეორე ცოლის,ესპანეთის ინფანტასაგან ირაკლი ბაგრატიონს დარჩა ქალიშვილი მარიამი (1947 წელს დაბადებული,ამჟამად ქვრივი) და ვაჟი ბაგრატი (1949 წელს დაბადებული),რომლებიც ესპანური წესის თანახმად,აქაური სამეფო სახლის წევრებად ითვლებიან.ბაგრატს ორი შვილი ჰყავს - ვაჟი ივანე და ასული - ინესა; ასეთია დღეს საქართველოს სამეფო სახლის ოჯახური ვითარება, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით,არსებობს ამავე შტოს მეორე,უმცროსი, კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი განშტოება,გრძელდება აგრეთვე კახეთის შტო და მისივე განაყოფი,დავითიშვილებად ცნობილი განშტოება,თუმცა,სამეფო ოჯახისა და,საერთოდ,ბაგრატიონთა საგვარეულოს წევრთა შესახებ უფრო დაწვრილებით შემდეგ ნომრებში ვისაუბრებთ,ხოლო ზოგადი სურათის წარმოსადგენად აქვე ვაქვეყნებთ გენეალოგიურ ტაბულას,მაგრამ მანამდე ყურადღებას მივაპყრობთ რამდენიმე,ჩვენის აზრით,ფრიად საგულისხმო გარემოებას.



ირაკლი ბაგრატიონი

პირველი ის გახლავთ,რომ ეს შტო უშუალოდ მომდინარეობს,ერთიანი საქართველოს მეფეთ-მეფეთაგან და მას ბრალი არ მიუძღვის ქვეყნის დაქსაქსვაში;მეორე - ეს შტო,საერთო წარმომავლობის გარდა,ჩამომავლობითაც უკავშირდება ბოლო დიდ ქართველ მეფეს,ერეკლე II-ეს (მისი ერთ-ერთი ქალიშვილი ჰყავდა ცოლად გიორგის და ბაგრატის პაპის პაპის მამას,სახლთუხუცეს ივანე მუხრან-ბატონს), ხოლო მისი მეშვეობით -კახეთის შტოსა და თავისივე განაყოფი ქართლისა და მუხრანის უფროსი,შეწყვეტილი შტოების სახელოვან მეფეებს თეიმურაზ I-ელს, ლუარსაბ I-ელს, სიმონ I-ელსა და ვახტანგ VI-ეს,აგრეთვე წმიდა მოწამე დედოფალს ქეთევანს; მესამე - ამ შტოს არცერთი წარმომადგენელი არ განდგომია ქრისტეს რჯულს,ისინი მხოლოდ ულვთო ბოლშევიკების შემოსევამ აიძულა დაეტოვებინათ სამშობლო და ის ფაქტიც,რომ წარსულში ჩვენი ქვეყნის სეხნია ქვეყანაში ესპანეთში,ანუ იბერიაში ცხოვრობენ და დაბრუნებაც იქიდან უწერიათ,ფრიად სიმბოლურად გვესახება ანტიკური ტრადიციის ფონზე,რომლის თანახმად კავკასიის იბერებიც სწორად ესპანეთიდან მოვიდნენ თავიანთ დღევანდელ საცხოვრისში;დაბოლოს მეოთხე -ის გარემოება,რომ ამ შტოს ჯერ არ უმეფია, ყველაზე უფრო საგულისხმო ჩანს,ვინაიდან,როცა იქნება, მისი დროც უნდა დადგეს,ჩვენი ხალხური ზღაპრების ნაბოლარა ძმის არ იყოს, ხოლო ჩვენ ყოველივე ამაში ღვთის ნებას ვხედავთ და,რაკი ნათქვამია,ხმა ღვთისა, ხმა ერისაო, ისღა დაგვრჩენია დაველოდოთ,როდის იღებს ყურად ჩვენი ერი ღვთის ხმას.

დასასრულ მოკლედ ქვემოთ დართული გენეალოგიური ტაბულის შესახებ: მისი მიზანი,როგორც ითქვა,ზოგადი წარმოდგენის შექმნაა და ამდენად იგი საკმაოდ სქემატურია გასაგები მიზეზის გამო - ბაგრატიონთა სრულ გენეალოგიას ტომები დასჭირდება; აქ წარმოდგენილი არიან მხოლოდ მეფენი და დღევანდელი სამეფო შტოს ის წარმომადგენლები,რომელთა შთამომავლობა გრძელდება.

ა.ასათიანი



ეროვნული ბიბლიოთეკა

სანთელ-საკმეველი /დასასრული/

და თუ ამას დავუმატებთ იმ ოსტატურ თვალთმაქცობას,რითაც ავტონომიათა ლიდერები ყველას აცოდებენ თავს,როგორც ჩაგრულნი ქართველთა მიერ,მაშინ კიდევ უფრო ცხადი გახდება ამ ავტონომიათა ნაღდი პოლიტიკური ანუ ანტიქართული არსი. განვსაჯოთ: თვით მე-17, მე-18 საუკუნეების უკიდურესად დაქუცმაცებულ საქართველოშიც კი ყველა სამთავრო და სამეფო ქართველური და ქართული ორიენტაციისა იყო (სამცხის ჩათვლითაც) და მათი რიცხვი ათეულს არ აღემატებოდა.

ქართული მხარეები უნდა აღდგეს! უნდა აღდგეს არამხოლოდ სამეურნეო-ეკონომიკური ინტერესებისა და ეროვნული დოვლათის შექმნის მიზნით!

ისინი უნდა აღდგნენ ტრადიციულ ძველ საზღვრებში,რათა ამ სამ ავტონომიურ უაზრობასაც სადროშოები ეწოდოს და არა უცხოტომელთა პრივილეგირებული კასტა საბჭოთა ავტონომიის ნიღბით!

არაა საჭირო საქართველოს ავტონომიათა ხელაღებით გაუქმებაზე ფიქრი! უბრალოდ,„დანარჩენი“ საქართველო მაინც უნდა გაუთანაბრდეს მათ თუნდაც სამეურნეო-ეკონომიკური ნიშნით!

პრივილეგია ბრძოლისა ქართული სადროშოებისათვის ისტორიამ და ტრადიციამ,მე ასე მჯერა,სწორედ ამ ახალ ძალას (პარტიას) შემოუნახა!

VII

ჩემი აზრით,ყველა ქართულ პარტიათა შორის სწორედ თქვენს პარტიას აქვს ყველაზე მეტი ისტორიული უფლება ძმურად იქნება თუ ამხანაგურად გასაგებ ენაზე ელაპარაკოს კავკასიელ მთიელებს კავკასიური ეთნოსის გენეტიკური და პოლიტიკური ერთობის სასიცოცხლო ინტერესების შესახებ.

ამ კავშირების მთლიანად აღდგენა საპატიო ეროვნული ამოცანაა.

VIII

უეჭველია,ახალი ქართული ძალა დაეყრდნობა თავის ეროვნულ პოლიტიკურ კონცეფციას (პროგრამას) და მე იმედი მაქვს,მისი საფუძველი იქნება მთავარზე უმთავრესი კონცეფცია:

-რომ ქართველი ერის პოლიტიკურ მომავალს და მის ისტორიულ-ტერიტორიულ და კულტურულ მონაპოვართ ემუქრება მომაკვდინებელი საფრთხე არამარტო ჩრდილოეთის მხრიდან!

რომ ერის სულიერი სიმართლე (ანუ ჯანმრთელობის მდგომარეობა) საგანგაშოა.

საქართველოს და ქართველი ერის დღევანდელი პოლიტიკური კონიუნქტურის მხოლოდ ასეთი გამძაფრებული აღქმით შეიძლება მივაგნოთ ერის სულიერი და ფიზიკური ძალების გამოუმზეურებელ საგანძურებს,თორემ გაამინების და მოჩვენებითი სიმშვიდის სირაქლემური მეთოდით შეიძლება მხოლოდ ეროვნული გონების და ენერგიის მიძინებას მივაღწიოთ (რა მეთოდითაც ასე უხვად არის გადაპენტილი ხუთწლიანი გეგმების რეცეპტებით შეკაზმული ქართველი ერის განვითარების პარტიული კონცეფცია).

IX

და აი,ბოლო რამდენიმე სურვილი და იმედიც,რომელთა აღსრულებასაც საქართველოსა და ქართველობისათვის პარლამენტურ-მშვიდობიანი ბრძოლის ჟამს არაფერი არ უნდა დაუდგეს წინ:

I. პარტიამ უნდა დააწესოს ძაძებისა და ტრაურის დღედ 1802 წლის 27 აპრილი,როგორც ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვის დღე.

2. ასევე სამწუხარო თარიღად უნდა იქცეს სექტემბრის 12 1803 წლისა ბაგრატიონთა დინასტიის ლიკვიდაციის დღე (არაა გამორიცხული,რომ ანტიქართულმა „ლენინსკოე ზნამიამ“ შავარშიიანი ნეკროლოგი მიუძღვნას მარიამ დედოფლის ხანჯლით გულგაჩეხილ გენერალ ლაზარევს).

3. ქართველ მონარქისტთა პირდაპირი ვალია მიგნება ქართველი ერის ეროვნული იდეისა,სახელმწიფოებრივი დევიზისა,ეროვნული მისიის ფორმულისა (რა თქმა უნდა,არამარტო პარტიისათვის,არამედ მთელი ერისათვის).

ეს არის და ეს... ოღონდ „ჯერჯერობით“.

პატივისცემით და რწმენით
ლერი სიხარულიძე

12 დეკემბერი 1989 წელი

---

ილია ჭავჭავაძე - საქართველოს სამეფოს აღდგენაზე მეოცნებე

/ დასასრული /

„ილიას გაეცინა და თქვა:

-რით არ არის ახლა ეს გურული გლეხი „Светский“ კაცი, და მიუბრუნდა ისევ გოგელიას:

-თქვენ,გურულებს არ გიყვართ მეფეები და თავადები...

-თქვენისთანები გვიყვარს,ბატონო,თქვენი „კაკო ყაჩაღი“ ჩვენ ყველამ ზეპირად ვიცით“.

უკანასკნელი დიალოგიდან თავისთავად გამომდინარეობს,რომ თუ მათ, გურულებს,რაღაც არ ყვარებიათ,რის გამოც ილია საყვედურით მიმართავს მოსაუბრეს,ესე იგი ის,რაც მათ არ მოსწონთ,ძვირფასია თვით ილიასათვის.

სამეფო ხელისუფლებისადმი ერთგულება ილიას იმდენად მიაჩნდა გამართლებულად,რამდენადაც მონარქიულ პრინციპს თვლიდა ერთადერთ საშუალებად რუსეთის ხელიდან სამშობლოს გამოსახსნელად. არჩილ ჯორჯაძისთვის მას ანდერძივით დაუბარებია:

„ახალმა თაობამ კარგად უნდა დაინახსომროს ერთი რამ.ჩვენ უნდა ვიყვნეთ მომხრენი მონარქიული პრინციპისა. რუსეთის იმპერატორი ამავე დროს ქართველთა მეფეა. 1783 წლის ხელშეკრულება,რომლის ძალით საქართველო რუსეთს შეუერთდა,რუსეთის მონარქთან გვაქვს დადებული. თუ გინდათ,რომ ჩვენს უფლებათ ისტორიული მნიშვნელობა არ დაეკარგოსთ,ხელუხლებელი და პატივსაცემი უნდა იყოს თქვენთვის მონარქიული პრინციპიო“ (არჩ.ჯორჯაძე, „ჩვენი საზოგადოებრიობა“,თხზულებანი, წ.II,გვ.223-224 1911 წ.).

ამ უფლებების აღდგენა და დამკვიდრება კი ცხადია,განახლებულ ქართულ სამეფოში უნდა მომხდარიყო. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ილიას დიდი თაყვანისმცემლისა და თანამოაზრის,იონა მეუნარგიას ერთი მოგონება. თავის მემუარებში ის წერს:

„საქართველოს საუკეთესო კაცს და მამულის მოყვარეს მუდამ სწავლული და მამულის მოყვარე მოსამსახურე ებედებოდა.

თვითონ ილიამ გვიამბო: ერეკლე ბატონიშვილს ვაჟი რომ დაებადა,დილაადრიან ჩემთან შემოიჭრა ბიჭი და ჩვენს შორის ამგვარი დიალოგი გაიმართაო:

-მომილოცავს,ბატონო!

-რა,ბიჭო?

-ბატონის რძალს ვაჟი ეყოლა ამ დილას“

გარეგნულად ამ ეპიზოდში ილიას მოსამსახურის მაღალ შეგნებულობაზეა ლაპარაკი.მაგრამ დავუკვირდეთ:რა უხარია მას? ბაგრატიონების მემკვიდრის დაბადება.ვის ახარებს ამ ამბავს? - ილიას. მოსამსახურეს გულითაც შეიძლება ახარებდეს მომხდარი და თვალთმაქცობდეს კიდეც.მაგრამ რაც უცილობელ ჭეშმარიტებას წარმოადგენს - მას სურს ილიას ახაროს ეს ამბავი. ხოლო ვინ შეიძლება იყოს სამეფო გვარეულობაში მემკვიდრის გაჩენით გახარებული თუ არ პიროვნება,სახელმწიფოებრიობისა და ტახტის აღდგენის მოსურნე!? ამრიგად,თუ ამ მოგონებათა ქვეტექსტებს გავაცნობიერებთ,მათში ილია ჭავჭავაძის მონარქისტული მისწრაფებების ამოკითხვაც მოხერხდება.

მაგრამ მონარქიაც არის და მონარქიაც.სახელდობრ,როგორ მონარქიაზე შეეძლო ეოცნება ილიას? თუ იმ საკითხში ნამდვილად შევთანხმდებით,რომ ილია უეჭველად ესწრაფვოდა საქართველოში სამეფო ხელისუფლების აღდგენას,მაშინ იმის ვარაუდიც შეიძლება გავწიოთ,რომ ეს უნდა ყოფილიყო არა ფეოდალური აბსოლუტური მონარქია, არამედ პარლამენტური,კონსტიტუციური მონარქია.

რა გვაძლევს ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს? ჯერ კიდევ 1884 წელს ილიას შესახებ საიდუმლო პოლიციის ანკეტაში იყო ასეთი ჩანაწერი:

"Поднадзорный Чавчавадзе Илья Григорьевич известный в Грузии поэт, принадлежит к той группе либералов, кои желают добиться автономии Грузии и мечтают о Грузинском парламенте".
(ციტ.პრ.რატიანის შრომის მიხედვით).

თუკი ილია მართლაც ოცნებობდა ქართულ პარლამენტზე,ბუნებრივია,რომ ამ პარლამენტის საუკეთესო ფორმად მას მონარქიულ-პარლამენტური სახელმწიფო მიაჩნდა. ამას ადასტურებს მისი სიმპათიები ინგლისის პარლამენტის მიმართ, რომელიც ილიას ერთობ დიდ მოწონებას იმსახურებს,რადგან:

„მოქალაქეთა უფლება-მოვალეობები და თავისუფლებები შეუძლებელია აქ დადგენილი იქნას საზოგადოების თანხმობის გარეშე“.

ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებულ მიღწევად უთვლის ინგლისის პარლამენტურ-მონარქიულ სახელმწიფოს იმ გარემოებას,რომ თუ პარლამენტში ორი პარტიაა,მთავრობა იქმნება პარლამენტის არჩევნებში გამარჯვებული პარტიისაგან,მაგრამ: „რომელს დასსაც უნდა ეჭიროს სამინისტრო,ვიგები იქნებიან თუ ტორები,ინგლისში ისეთი შეურყეველი ჩვეულებაა,რომ თუ სამინისტროს კანონი და პროექტი არ მოეწონა პარლამენტმა და არ დაუმტკიცა,უნდა გადადგეს და სამინისტრო მეორე დასს დაუთმოს“(ტ.IX,გვ.197).

ამრიგად,თუ გავითვალისწინებთ ილიას მისწრაფებას საქართველოს სამეფოს აღდგენისაკენ და იმავე დროს მის სიმპათიებს ხელისუფლების თვითმმართველობის პარლამენტური საწყისებისადმი უნდა ვიფიქროთ,რომ კონსტიტუციური მონარქია იქნებოდა სწორედ ის ფორმა,რომელიც სრულად შეესატყვისებოდა ილიას იდეალს.ერთის მხრივ ეს საშუალებას მისცემდა საქართველოს,მისი ყველა კუთხე და ყოველი წოდების კაცნი მოერიგებინა და გაეერთიანებინა ბაგრატოვანთა დროშის ქვეშ,ხოლო მეორეს მხრივ, პარლამენტარიზმის პრინციპი ქვეყანაში დააკანონებდა ჭეშმარიტი დემოკრატიის საფუძვლებს. ამით საქართველო შეინარჩუნებდა ისტორიული,ტრადიციული ქვეყნის სახესაც და მას შეერწყმოდა თანამედროვე პოლიტიკური ფორმაც, რაც შექმნიდა პირობას ქვეყნის ჰარმონიული განვითარებისათვის.

ზურაბ ასკანელი

---

## იდუმალ გამხელილი ოცნება

## კონსტანტინე გამსახურდია ლანდებთან ლაციცი

/ნაწყვეტი/



„კაიზერ ვილჰელმი სკანდინავიიდან დაბრუნდა, ომი გამოცხადდა. მე მთელი დღე საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში ვმუშაობდი, ხოლო საღამო ჟამს ჩემს ძაღლს, შნუკის ვასეირნებდი სამეფო პარკში.

ერთხელ მწვანე სკამზე ვიჯექი.

სამი დაჯღანული მოხუცი ჩამოსხდა იქვე. ერთმა, სათვალიანმა მითხრა:

„ყმაწვილო, თქვენ ფრანგი ხომ არა ხართ?„

„არა, უფალო.„

„არც ინგლისელი?„

„არც ეგა.„

„არც რუსი?„

„არც ეგა, უფალო.„

„მაშ ვინა ბრძანდებით?„

„ქართველი გახლავართ.„

მოხუცები ვერ გაერკვნენ, თუ რას ნიშნავდა ქართველი.

ახლა მეორე მოხუცმა მკითხა:

„ჰო, მაგრამ თქვენ ქართველები ომში არ მონაწილეობთ?„

„არა, უფალო.„

„რატომ?„

„ჩვენი მეფე ჭკვიანია.„

ახლა მეორე დაინტერესდა:

„თქვენი მეფე რა გვარისაა?„

„ბაგრატიონი.„

ეს ვთქვი და თავათ შემეშინდა: ვაჰთუ, პეტრე ბაგრატიონი მაინც გაახსენდეთ-მეთქი.

ახლა მესამე მეკითხება:

„ყმაწვილო, სად ცხოვრობს თქვენი მეფე?„

„მცხეთაში, ჩემო ბატონო.„

# ისტორიული აქტი

საქართველოში მონარქისტული პარტიის შექმნისთანავე გარკვეულმა ორგანოებმა ხმა დაყარეს, ეგ პარტია თავადების შექმნილია და ბატონყმობის აღდგენას ისახავს მიზნადო. ჩვენ სასაცილოდ არ გვყოფნის ეს მონაჩმახი, მის შემთხზველთა და გამავრცელებელთა გონებაჩლუნგობის მეტს რომ არაფერს მოწმობს, მაგრამ თავადაზნაურობასთან დაკავშირებით გვინდა საზოგადოებრიობას გავაცნოთ ერთი ნაკლებად ცნობილი ისტორიული ქმედება, რომელმაც თავის დროზე არამარტო ცხადყო ამ სოციალური ფენის ტრადიციული კეთილშობილება, გულუხვობა და პატრიოტიზმი, არამედ უდიდესი როლიც შეასრულა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენაში.

საქმე ეხება 1917 წლის 29 ოქტომბრის აქტს, რომლითაც ქართველმა თავადაზნაურობამ 30 მილიონ ოქროს მანეთად ღირებული მთელი თავისი კოლექტიური ქონება გადასცა მშობელ ერს. ვინაიდან ქართველობას იმხანად ჯერ არ გააჩნდა ეროვნული ორგანო, სწორედ ამ აქტმა დააჩქარა ეროვნული საბჭოს შექმნა, რომელმაც ერთ წელიწადში გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა. აღსანიშნავია, რომ ამავე აქტით საქართველოში თავისი ნებით არსებობა შეწყვიტა თავადაზნაურობამ, როგორც კლასმა, რაც უპრეცენდენტო ფაქტია მსოფლიო ისტორიაში.

ჩვენი პარტია პატივს სცემს და მოწიწებით ქედს იხრის სულმაღალი წინაპრების მიერ შექმნილი აქტის წინაშე. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს ნაბიჯი თვით დიდი ილიას ნაბიჯია. მას მხოლოდ წიწამურის ბოლშევიკურმა ტყვიებმა არ მისცეს საშუალება, რომ ამ უწმინდეს საქმეს თვით ჩასდგომოდა სათავეში. წმინდანისდარი საქმე გაასრულა წმინდა ილია მართლის აღზრდილმა, საყვარელმა დისშვილმა და ვთითონაც წამებულმა, გენერალმა კოტე /კონსტანტინე/ აფხაზმა. იგი, აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობის უკანასკნელი წინამძღოლი /მარშალი/, მისდარი მამულიშვილთა ჯგუფთან ერთად 1923 წელს ბარბაროსულად დახვრიტეს იგივე ბოლშევიკებმა /ამ ჯოჯოხეთური საქმის ირგვლივ პუბლიკაცია დაიბეჭდა შარშან, „ლიტერატურულ საქართველოში"/.

ჩვენ საჯაროდ ვაცხადებთ, რომ ვიღწვით ბაგრატოვანთა ოთხკუთხივეჯვარწერილ ტახტის, ტახტის როგორც ერის წმინდათაწმინდა დროშისა და ცოცხალი ტაძრის აღდგენისათვის საქართველოში, რისიც, ჩვენი ღრმა რწმენით ბოლოსდაბოლოს ღირსია ჩვენი მრავალტანჯული სამშობლო, ხოლო რაც შეეხება მამულების დაბრუნებას, ქონებრივი ცენზისა და ბატონყმობის აღდგენას, და სხვათა და სხვათა – ეს ან დაავადებული გონების ნაყოფია, ანდა რაღაცა მიზნით დაყრილი ჭორი, რითაც, რბილად რომ ვთქვათ, ჩვენი მოწინააღმდეგენი ცდილობენ შეცდომაში შეიყვანონ ჩვენი ამ თემაზე სწორ ინფორმაციის არმქონე თანამემამულეები.

იმედია ქვემოთმოყვანილი მასალები იმდროინდელი პრესიდან ნიღაბს ჩამოხსნიან ყველა ჯურის ბრალდებებს და ერს დაანახვებენ ჩვენს ნამდვილ სახეს.

* * * * *

"საქართველო", 1917, ღვინობის თვის 31 (13)

მოწინავე: "თავად-აზნაურობის აქტი"

"ჩვენს თავად-აზნაურთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ქონების საკითხში შესაფერი ზომა შორსჭვრეტისა და მეტი სიდარბაისლე გამოიჩინა კრებაზე. ერთსულოვნად ყველა აღიარებდა, რომ ქონება იგი ერისაა, მაშასადამე, მასვე უნდა დაუბრუნდეს, როგორც კოლექტიური ქონება. ერთი სიტყვით, იგი სავსებით იზიარებდა ამ საკითხში "საქართველოს" თვალსაზრისს. მაგრამ საქმე ხომ მარტო სურვილი და დადგენილება არაა, არამედ ის, თუ სახელდობრ როგორ და რა სახით ჩაბარდება ქონება იგი მთელს ერს, როდესაც არა გვაქვს ავტონომიური მართვა-გამგებლობა? და აი, სწორედ ამ საკითხმა დააჩქარა იმ საკითხის გადაწყვეტა, რასაც აქნობამდის უგულებელს ვყოფდით: ეროვნული კრების მოწვევა!..

... სწორედ ამიტომ მივესალმებით 29 ღვინობის თვის აქტს. ჩვენ გვწამს, რომ დიმიტრი ყიფიანის და ილია ჭავჭავაძის და ნიკო ნიკოლაძის მტკიცე ხელით ნაამაგარს და დაღუპვისაგან გადარჩენილ უძრავ ქონებას ერს გადასცემენ ღირსეულად და ეს ღირსება გასაკეცებული იქნება, თუ ქონების გადაცემის აქტი გახდება მთავარი მიზეზი ეროვნული კრების მოწვევისა უზენაეს ეროვნულ გამგებლობის შემოსაღებად!" —

"საქართველო", 1917 გიორგობის თვის 24 (?)

კ. აფხაზის სიტყვა წარმოთქმული საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე 1917 წლის გიორგობის 23-ს

(თავადი აფხაზი ტრიბუნაზე ადის, მას ტაშის ცემით ეგებებიან)

"მე წარმოვსდექი თქვენს წინაშე ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის დავალებით, რათა გაუწყოთ თავად-აზნაურობის ყრილობის დადგენილება ღვინობის თვის 29 დღისა. ამ დღეს გადაწყდა, რომ მთელი თავად-აზნაურობის ქონების ღირსეულ მემკვიდრედ გამოცხადებულ იქნას ქართველი ერი.

ეს ქონება არ იყო მამა-პაპის მიერ შთამომავლობით დატოვებული, არამედ იყო თავად-აზნაურობის მიერ შეძენილი ამ 50 წლის განმავლობაში. თავად-აზნაურობას დიდი წარსული აქვს სამხედრო ასპარეზზედ. ამას გარდა სამოქალაქო ასპარეზზედაც მრავალი შესანიშნავი პირი მოგვცა ამ წოდებამ (ტაში).

თავად-აზნაურობა შეურიგებელი მტერი იყო რუსეთის ძალ-მომრეობისა. მთიულეთის, კახეთის და იმერეთის აჯანყებაში თავად-აზნაურობამ მიიღო მეთაურობა და ხელმძღვანელობა. მაგრამ ამ აჯანყებებმა ჩვენი უნუგეშო მდგომარეობა ვერ შეცვალა. საქართველო ვერ იხსნა რუსეთის კლანჭებისაგან. ალბად რუსეთი ძალით უნდა გაბატონებულიყო ჩვენში. რუსეთმა საქართველოს ტერიტორია ერთნაირ საშუალებად გაიხადა თავისი დამპყრობითი პოლიტიკისათვის. ქართველი ერი ერთად-ერთი ერი იყო, რომელსაც შეეძლო წარსული მოეგონებია და რუსეთის დამპყრობითი გეგმები დაეშალა. ამ გარემოებამ რუსის წრეში შიში დაბადა, რაც ქართველთა შევიწროებაში გამოიხატა. ყველა ამათ მოჰყვა რუსეთის ადმინისტრაციის გაძლიერება ჩვენში, რასაც დაერთო უცხოელთა კოლონიზაცია და უცხო კაპიტალის შემოჭრა. ამან კი ქართველი ერის დაბეჩავება და დაუძლურება გამოიწვია. ქართველობა თანდათან იდევნებოდა, ქართული სული თანდათან ჰქრებოდა. ქართველმა თავად-აზნაურობამ ხელი მიჰყო კოლექტიური ქონების შეძენას და მოკლე ხანში პატრონი გახდა იმ ქონებისა, რომელიც მან დღეს ქართველ ერს უანდერძა:

სათავად-აზნაურო ბანკი

1874 წ. დიმიტრი ყიფიანის მეცადინეობით დაარსდა სათავად-აზნაურო ბანკი. ბანკის წესდებაში აღიარებული იყო, რომ ბანკის მოგების ნახევარი მოხმარდეს მიწის მუშას. ბანკმა დიდი შემოსავალი მისცა აზნაურობას. დღეს ბანკი წლიურად წმინდა შემოსავალს იძლევა 300 000 მან. ამ მოგებით იკვებება 30 ქართული კულტურული დაწესებულება.

კახეთის რკინის გზა

ამ გზას დიდი ხნის ისტორია აქვს. თავადაზნაურობას დიდი შრომა და ბრძოლა დასჭირდა ამ საქმის კეთილად დასაგვირგვინებლად. ბოლოს 1915 წ. ამ გზაზე მატარებელმა დაიწყო მუშაობა. ამ გზამ დიდი სამსახური გაუწია კახეთის მცხოვრებლებს. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ეს რკინის გზა არ ყოფილიყო, კახეთის მცხოვრებლები ამ ომის დროს შიმშილით ამოიხოცებოდნენ. ამ რკინის გზის ღირებულება 18 მილიონ მანეთს აღემატება.

თავად-აზნაურობის შენობა

სასახლის ქუჩაზე, რომლის შემოსავალია წლიურად 120 000 მან. თავად-აზნაურობას აქვს ელექტრონის სადგური, რაც წლიურად იძლევა 100 000 მან. წმინდა შემოსავალს.

ქართული გიმნაზია, რომლის შენობის ღირებულება 2 მილიონ მანეთს აღემატება!"

(ორატორმა შემდეგ ყრილობას წაუკითხა თავად-აზნაურობის ყრილობის დეკლარაცია ქართველი ერისადმი და ასე დაასრულა თავისი მოხსენება:)

"თავად-აზნაურობის ნაბიჯი მუხლის მოდრეკა კი არ არის, არამედ მისალმებაა ქართველი ერისადმი" (ტაში).

კ. აფხაზის შემდეგ სიტყვა მიეცა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თავად დ. ნიჟარაძეს, რასაც ტაშით მიეგებნენ.

დ. ნიჟარაძის სიტყვა:

"მამულიშვილნო!

მე მეტად ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა მივესალმო ამ ტრიბუნიდან ამ სანატრელს პირველ საქართველოს ეროვნულ კრებას. სრულებით ნეტარ მიმაჩნია კვლავ განვიმეორო და გაგახსენოთ ისტორიული ღვაწლი ქართველ თავად-აზნაურობისა თავის სამშობლოს და ქართველი-ერის წინაშე, რადგან ყოველივე ამას შეეხო და განმარტა კონსტანტინე აფხაზმა; კარგი იყო იგი თუ ავი, ერთნაირად უწევდა სამსახურს როგორც აღმოსავლეთ საქართველოს აზნაურობას, ისე დასავლეთ საქართველოს რამდენიმე საუკუნის განმავლობაში და თვით რუსეთთან შეერთების შემდეგაც, რამდენადაც ეს მათ შეეძლოთ იმ დარგლებში მომწყვდეულთ, რომლებშიაც იგი ორმოცდაათიანი წლებიდან რუსის მთავრობამ ჩააყენა კანონების IX ტომის ზეგავლენის ქვეშ.

დასავლეთ საქართველოს აზნაურობამაც, რვა ამა გიორგობის თვეს ისეთივე დადგენილება გამოიტანა, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს აზნაურობამ. მან თავის მემკვიდრედ აღიარა სრულია ქართველი ერი. თუმცა დასავლეთ საქართველოს აზნაურობას ისეთი სიმდიდრე არა ჰქონია, როგორიც ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოს, მაგრამ მან თავისი წვლილი ერთად ამ უკანასკნელთან გადასცა ერს.

დადგენილება აზნაურობის კრებისა ამის შესახებ მე უკვე ვაახელი თფილისის აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს და ვსთხოვე ერთად აღმოსავლეთ აზნაურობის კრების დადგენილებასთან გადასცეს იგი კუთვნილებისამებრ. დასავლეთ საქართველოს აზნაურობისაგან ერზედ გადაცემული მამულები შეიცავენ: ქართული გიმნაზია თავის შენობებით, სენაკის სკოლა თავის შენობებით, აზნაურობის ბანკი, რომელიც ერთი და იმავე დროს არის დაარსებული, როგორც თფილისის აზნაურობის ბანკი და ერთი და იგივე წესდება აქვთ.

შემდეგ ერთსულოვნებისა და სოლიდარობისა ჩვენს პოლიტიკურ პარტიებს შორის, რომელნიც ამ სანატრელს ეროვნულ კრებაზე გამოირკვა ცოტა გამონაკლისით (ეს გამონაკლისი გახლდათ ბოლშევიკური პარტიის წარმომადგენელი ფ. მახარაძე – რედ.), მე სულით და გულით ვბრუნდები დასავლეთ საქართველოში და ვახარებ მას, რომ საქართველო აღდგა! ქართველი ერი ხელი-ხელ ჩაკიდებული ერთ-სულოვნად და ერთ-გულოვნად, განურჩევლად პოლიტიკური მიმართულებისა დადგა საქართველოს თავისუფლების დროშის ქვეშ და იგი ამ დროშის ქვეშ დაუყოვნებლივ განახორციელებს დიდის ხნის თავის იდეალებს, თავის დიდებულ ისტორიის სავსებით აღდგენისას, მაშ გაუმარჯოს ქართველ ერს (ტაში)!"

ნ. ჟორდანია:

"I ეროვნული ყრილობა მადლობას უცხადებს ქართველ თავად-აზნაურობას (ტაში), ყრილობა ჰფიქრობს, რომ დღეიდან ეს წოდება აღარ არსებობს (ტაში). ამიერიდან ქართველი ერი იურიდიულად შეიქმნა ერთი მთლიანი და ეს იქნება მერმისის საფუძველი. მთავრობის აქტი წოდების გაუქმების შესახებ ამ დღეებში გამოქვეყნდება."

# უცხოური მიმოხილვა

მიმდინარე საერთაშორისო მოვლენებს ჩვენი საზოგადოებრიობა ავად თუ კარგად ოფიციალური მასობრივი საშუალებებითაც ეცნობა, ამიტომ ჩვენი მიმოხილვა მეტწილად იმ საკითხებს გააშუქებს ხოლმე, რომლებსაც გასაგები მიზეზების გამო ნაკლები ყურადღება ეთმობათ.

## მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს

1989 წლის 7 იანვარს, დილის 6 საათსა და 33 წუთზე ტოკიოში ხანგრძლივი, სამთვენახევრის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა იაპონიის იმპერატორი ხიროხიტო. 88 წლის ასაკს მიტანებულმა მონარქმა (იგი 1901 წლის 29 აპრილს დაიბადა) 62 წელიწადს იმეფა (1926 წლის 25 დეკემბერს ავიდა ტახტზე), რაც თავისებურ რეკორდს წარმოადგენს გვირგვინოსანთა შორის, და მის სიკვდილთან ერთად დასრულდა ეპოქა, რომელსაც იაპონური ტრადიციისამებრ საკუთარი სახელწოდება ჰქონდა – „სევა". ეს ეპოქამართლაცდა გარდამტეხი იყო „ამომავალი მზის ქვეყნის" ისტორიაში – სხვა მოვლენებს რომ თავი დავანებოთ, სწორედ ამ პერიოდში იწვნია იაპონიამ თავისი არსებობის მანძილზე ერთადერთი და უმძიმესი სამხედრო დამარცხება მეორე მსოფლიო ომში, რასაც თან ახლდა ჰიროსიმას და ნაგასაკის კოშმარი (ამ კატასტროფის სიმწარეს მკვეთრად გამოხატავს მისი ტრაგიკული ფინალი: რამდენიმე ასეული იაპონელი ოფიცრის ხარაკირი-რიტუალური თვითმკვლელობა იმპერატორის სასახლის წინ მდებარე მოედანზე კაპიტულაციის საწინააღმდეგო პროტესტის ნიშნად), და დროის ამავე მონაკვეთში იქცა ეს კუნძულოვანი, არც ისე ვრცელი და ბუნებრივი რესურსებითაც საკმაოდ ღარიბი სახელმწიფო მსოფლიო მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიკური პროგრესის მედროშედ. საგრძნობი ცვლილებები განიცადა ამ ეპოქაში თვით იმპერატორის სტატუსმაც – თუ ომამდე და ომის დროს იაპონელთა ეროვნული რელიგიის სინტოსა და კონსტიტუციის თანახმად იგი ღვთისწორ მბრძანებლად, ცის ძედ და წმინდანად იყო შერაცხული და მისი სადიდებლით „ბანზაი"-თ (მრავალჟამიერ) წირავდნენ თავს ბრძოლაში კამიკაძეები, ომის შემდეგ მონარქმა უარი თქვა ღვთაებრივ წარმოშობაზე, იგი „იაპონელი ერის ერთობის სიმბოლოდ" და სახელმწიფოს მეთაურად გამოცხადდა. მის მოვალეობაში შედიოდა პარლამენტის მოწვევისა და დათხოვნის, საყოველთაო არჩევნების ფორმალური გამოცხადება, მინისტრთა კაბინეტის დამტკიცება, კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესწორებების მიღება, უმაღლესი ჯილდოების გადაცემა და მსგავსი ფუნქციები. ხიროხიტო წელიწადში სულ ორჯერ ენახვებოდა ხოლმე ხალხს – როცა საახალწლო მისალმებით მიმართავდა ქვეშევრდომებს სასახლის შუშაბანდიდან და თავისი დაბადების დღეს, მადლობას რომ უხდიდა მისალოცად მისულთ. გარდა ამისა იმპერატორი ესწრებოდა ეროვნული ჭიდაობის სუმოს შეჯიბრებებს და სეფე-

/დასასრული იხ. გვ. 8/.

№1

## მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს /დასასრული/.

სიტყვებს წარმოთქვამდა იაპონური სპარტაკიადების გახსნაზე. თავისი სიცოცხლის მანძილზე მან სულ სამჯერ იმოგზაურა საზღვარგარეთ- ორჯერ ევროპაში და ერთხელ ამერიკის შეერთებულ შტატებში, მხოლოდ 1961 წელს გაეცნო ტოკიოს ცენტრს, როცა გინძაზე გამოვიდა, თუმცა ეს ქუჩა იმპერატორის სასახლის ზღუდის იქით იწყება – ასეთი იყო მისი ცხოვრების ოფიციალური მხარე, რომლის მიღმა ძალიან საინტერესო ადამიანი იმალებოდა.

მშვიდმა და გონიერმა ხიროხიტომ სიყრმიდანვე გამოავლინა მიდრეკილება მეცნიერებისადმი – უკვე 17 წლისამ აღწერა კრევეტის ახალი სახეობა და მისი ეს პირველი აღმოჩენა ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიამ ცნო. თითქმის 70 წლის მანძილზე ეწეოდა გვირგვინოსანი მეცნიერულ კვლევა-ძიების და მსოფლიო დონის სპეციალისტიც გახდა ერთუჯრედიან ცოცხალ არსებათა შესწავლის დარგში, მან დაწერა ბევრი ნაშრომი, აღმოაჩინა ასზე მეტი სახეობის ზღვის ცხოველი და მცენარეული ორგანიზმი. შინაურობაში ხიროხიტო გამოირჩეოდა შემწყნარებლობით, იუმორის, განსაკუთრებით თვითირონიის გრძნობით, მას ძლიერ უყვარდა თავისი მეუღლე პრინცესა კიუნი, 1924 წელს რომ შეირთო და თუმცა მან ცხრა წლის განმავლობაში ვერ გაუჩინა მემკვიდრე უფლისწული (ამ დროში ოთხი ქალიშვილი შეეძინათ), იმპერატორი, სახელმწიფოს მესვეურთა დაჟინების მიუხედავად, არ გაეყარა ცოლს, რომელმაც თითქოსდა ერთგულების ჯილდოდ, ბოლოს მაინც უშვა ორი ვაჟი. ხიროხიტოს სიბრძნე და კაცთმოყვარეობა გამოვლინდა პოლიტიკაშიც, როცა 1941 წელს თავისი ბეჭედი არ დაუსვა ბრძანებას შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ბაზაზე პერლ-ჰარბორზე ელვისებური საჰაერო თავდასხმის შესახებ, მაგრამ მაშინდელმა მმართველმა წრეებმა, ვის ხელშიც იყო რეალური ძალაუფლება, დაუმალეს ეს ამბავი ხალხს. 1945 წლის ივნისში იმპერატორმა თავის გენერლებს ომის შეწყვეტა მოსთხოვა, მაგრამ არც ამჯერად ისმინეს მისი და კრახიც გარდუვალი გახდა. ატომური დაბომბვის შემდეგ ხიროხიტომ ერთპიროვნულად მიიღო გადაწყვეტილება კაპიტულაციის შესახებ და მიმართა ხალხს თხოვნით „მიეღო მიუღებელი“. ამის გამო ამერიკამ იგი სამხედრო დამნაშავედ არ ცნო, მაგრამ მონარქმა ერის ინტერესები ყველაფერზე მაღლა დააყენა, საოკუპაციო ჯარების სარდალთან, გენერალ მაკარტურთან გამოცხადდა და სთხოვა მას დაენდო იაპონია, სანაცვლოდ კი საკუთარი თავი შესთავაზა მსხვერპლად. გვირგვინოსნის კეთილშობილებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გენერალზე და მან პასუხად შოკოლადის კანფეტებით სავსე კოლოფი გაუწოდა. ოკუპაციის პერიოდში ხიროხიტო ღია მანქანით მოგზაურობდა ქვეყანაში და ესაუბრებოდა, ამხნევებდა მარცხით დათრგუნულ თანამემამულეებს, რომლებმაც პირველად იხილეს იგი, გაიგონეს მისი ხმა, მანამდეც, მაშინაც და მერეც იმპერატორი, რომელიც სინტოს რელიგიის სულიერ მეთაურს წარმოადგენს, იზის წმინდა ტაძარში, სადაც მხოლოდ მას შეესვლებოდა, გულმხურვალედ ევედრებოდა წინაპართა სულებს ქვეყნის შეწევნას და საიმპერატორო საგვარეულოს დედამთავარს მზის ქალღმერთს რეგულარულად აბარებდა ანგარიშს იაპონიასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს მოვლენათა შესახებ.

ათეულსაუკუნოვანი მონარქიისა და დინასტიისადმი ტრადიციული მოწიწების გარდა თვით ხიროხიტოს პირადი ღირსებებით გამოწვეულმა სიყვარულმაც განაპირობა ის, რომ როცა შეიტყვეს, იმპერატორი ავად არისო, უამრავი იაპონელი თავსხმა წვიმაში საათობით იდგა სასახლის წინ უზარმაზარ რიგებში, რათა გამოეხატა თავისი ერთგულება ხელმწიფისადმი და წერილობით გამოეთქვა მისთვის უსწრაფესი გამოჯანმრთელების სურვილი. მთელ ქვეყანაში ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა წამოაყენეს პატრიოტული ინიციატივა და გააუქმეს ყველა დღესასწაული, პარლამენტის დეპუტატებმა უარი თქვეს საპროგრამო მოგზაურობებზე და დედაქალაქს არ ტოვებდნენ, გადაიდო დაგეგმილი ფესტივალები და დარბაზობები. მკვეთრად გაიზარდა ინტერესი ტრადიციული იაპონური ღირებულებებისადმი, უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდობაში, დიდ გასავალში იყო საიმპერატორო სისტემისადმი მიძღვნილი წიგნები და ბროშურები, ერთისამად იმატა იაპონური დროშის, ხინომარუს, მისი გამოსახულებიანი სამკერდე ნიშნების და პატრიოტული სიმბოლიკის გაყიდვამ. კონსერვატორი იდეოლოგები თანამოძმედ ეროვნული სულის აღორძინებას მოუწოდებდნენ და ა.შ., ხოლო, როცა იმპერატორი გარდაიცვალა, ქვეყანა ღრმა მწუხარებამ მოიცვა და ხალხმა გულწრფელად დაიტირა თავისი მონარქი.

ძველი წესით გლოვამ თორმეტ თვეს უნდა გასტანოს, მაგრამ ტახტს ობლობა არ უგრძვნია – ხიროხიტოს გარდაცვალებისთანავე ტრადიციული სამეფო ინსიგნიები, სამი საუნჯე – წმინდა სარკე, მახვილი და იასპი – გადაეცა გარდაცვლილი იმპერატორის უფროს ვაჟს აკიხიტოს, რაც მის მეფედ კურთხევას ნიშნავდა, და ამ დღიდანვე დაიწყო ახალი ეპოქა იაპონიის ისტორიაში. ამ ეპოქის სახელწოდებაზე, ანუ გენგოზე, მუშაობა საგანგებო კომისიამ ჯერ კიდევ 1979 წლიდან დაიწყო უმკაცრესი საიდუმლოს ვითარებაში. ეს სამუშაო გვარიან ჯაფას, განსწავლულობასა და მახვილგონიერებას მოითხოვს, ვინაიდან გენგო უსათუოდ უნდა აკმაყოფილებდეს სამ ძირითად მოთხოვნას: უნდა შედგებოდეს ორი იეროგლიფისაგან, რომლებიც ადვილად იკითხება და იწერება, არ უნდა იმეორებდეს წინადადებას და არ უნდა იყოს საკუთარი სახელი, აგრეთვე ხშირად ხმარებული სიტყვა. მინისტრთა კაბინეტის საგანგებო სხდომაზე გადაწყდა, რომ ახალ გენგოდ დაემტკიცებინათ სიტყვა „ჰეისეი“ – მისი შემადგენელი იეროგლიფები აღნიშნავენ ქვეყნად და ზეცაში საყოველთაო მშვიდობის მიღწევასა და დამყარებას და 1989 წელიც ამ ეპოქის პირველ წლად გამოცხადდა. გლოვის დამთავრებიდან კიდევ თორმეტი თვის გასვლის შემდეგ ახალი იმპერატორის გამეფების რიტუალს დააგვირგვინებს დაიძოსაის ცერემონია, რომლის დროსაც იგი სალოცავად შევა ტაძარში, რათა სიმბოლურად გარდაისახოს ქალად, ღმერთები რომ გააბედნიერებენ და ამის მერე მონარქი კვლავ დაიბადება, ოღონდ უკვე როგორც ღვთაება. უნდა ითქვას, რომ ამ ცერემონიას ამჯერად უფრო პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე რიტუალური: როგორც ზევით უკვე აღინიშნა, 1945 წელს ხიროხიტომ ხელი აიღო თავის ღვთაებრივ წარმოშობაზე და ახლა მისი მემკვიდრის მიერ ამ სტატუსის აღდგენას უკავშირებენ ქვეყანაში პატრიოტული განწყობილების გაძლიერებისა და იმის იმედს, რომ ახალი იმპერატორის გამეფება იაპონელებს გაათავისუფლებს მეორე მსოფლიო ომში განცდილი მარცხის კომპლექსისაგან.

ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს აკიხიტოს პიროვნულმა თვისებებმა: იგი 55 წლისაა (1934 წლის 23 დეკემბერს დაიბადა), მამისაგან განსხვავებით ტრადიციულ იაპონურთან ერთად ქრისტიანული განათლებაც მიიღო, საიმპერატორო დინასტიის ისტორიაში პირველად იქორწინა არა დიდგვაროვან ასულზე, არამედ უბრალო ქალიშვილზე, ერთი წლით უმცროს მიტიკო სოდაზე, რომელიც ჩოგბურთის კორტზე გაიცნო- ქორწილის დღეს, 1959 წლის 10 აპრილს ნეფე-პატარძლისა და მათი მაყრიონის მისასალმებლად ქუჩაში ნახევარ მილიონზე მეტი კაცი გამოეფინა. მას შემდეგ ავგუსტოესმა წყვილმა 46-მდე ქვეყანაში იმოგზაურა, ასევე ტრადიციის საწინააღმდეგოდ მათ თავისი გაიტანეს და მიაღწეს იმას, რომ სამივე შვილი შინ ოჯახში გაეზარდათ და არა სპეციალური აღმზრდელების ხელში (უფროსმა ვაჟმა, 28 წლის ტახტის მემკვიდრემ ხირომ ამასთან ერთად ორი წელი გაატარა ოქსფორდის უნივერსიტეტში). ორი წლის წინ აკიხიტომ თავზარი დასცა კარისკაცებს, როცა მოითხოვა ქალაქში მანქანით მგზავრობისას მისთვის დაკანონებული პრივილეგიების გაუქმება და თავის მძღოლს მოძრაობის ყველა წესის დაცვა უბრძანა, მერე ესეც არ იკმარა და რამდენჯერმე ისარგებლა საზოგადოებრივი ტრანსპორტით, რასაც აგრეთვე დიდი აურზაური მოჰყვა. ამავე დროს, ყოველივე ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ახალი მონარქის ზეობა რადიკალურად იქნება განსხვავებული წინამორბედისაგან. იგი ხალხს ისევე თავაზიანად მიმართავს, როგორც მამამისი, და ისეთივე თავშეკავებით გამოირჩევა – მას ხომ მრავალ წელიწადს ამზადებდნენ იმ მისიისათვის, რომლის შესრულებასაც ახლა შეუდგა (თუმცა ბოლო წლებში იგი უკვე ენაცვლებოდა ხოლმე მამას ზოგიერთ ცერემონიაზე). ერთი სიტყვით, როცა წელს შემოდგომაზე, გლოვის დამთავრების შემდეგ, იაპონიის სათვალავით 125-ე იმპერატორს საზეიმოდ დაადგამენ გვირგვინს, ქრიზანტემებიანი საიმპერატორო ალმის შემხედვარე იაპონელებს, თუმცა ამის ტრადიცია არა აქვთ, ევროპელების მსგავსად შეეძლებათ თქვან: მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს!

---

ძალიან მძიმე გამოდგა ჩვენი ქეთევან დედოფლის დარად ნაწამები ერისათვის 1989 წელი, წელი გველისა, აღსავსე შხამით, წამებულთა სისხლით და ჩვენი, მათი ჭირისუფლების ცრემლით.

ვერა და ვერ მოვაშორეთ, დაწყებული ავადმოსაგონარი 25 თებერვლიდან, ჩვენს დროშებს შავი ბაფთები...

ნიშანდობლივია, რომ როგორც კი გააქნევდა მხარს ქართველი ბორკილების გასაწყვეტად, მაშინვე ჩვენს ლაჟვარდ კაბადონს ჩაექსოვებოდნენ ახალი და ახალი წმინდანები...

ვითომ სიწყნარე იყო ქართლოსის მიწაზე ჯოჯოხეთური 56 წლის შემდეგ; 78-შიც გადავრჩით; მაგრამ მოგვადგა ბალღამიანი 89;

ჩვენი ლამაზი, ლურჯი აპრილი უცებ გაგვიშავდა, ქვესკნელიდან ამობობღდა ბასრ, ნიჩბისპირკლანჭებიან გველეშაპად ძველი წლის სახელისმდებელი გველი და შემოგვაფრქვია შხამიანი ოხშივარი; წმინდა გიორგიც იყო, მაგრამ დანაკარგი აუნაზღაურებელია: თავმომწონე ქართველებს ქ ა ლ ე ბ ი დაგვიხოცეს!

ტკივილისაგან მოყენებული კრუნჩხვა ჯერ არ გაგვსვლოდა, რომ ჩვენს სანატრელ ცხუმ-აფხაზეთის საერისთავოში რაღაც გაუგებარი, ეშმაკისეული ჩაგონებით ჩამოქანდაკდა ახალი ვაება... უფრო ღრმად ჩაგვერჭო ეკლის გვირგვინი...

ვერც ზაფხულის ხიბლი ვერ ვიგემეთ!

მაგრამ ვაი, რომ არც ეს გვაკმარა შემოქმედმა: სულისა ჩვენისა გამოსაწვრთნელად მოგვიხშირა ათას ზაფიქრთა ამშლელი გზაზედამდგარ ერისშვილთა ხიფათი; ახლა რვალის ბედაურებმა დაიწყეს თავიანთი რაინდების მუსრვა.

და აი, ბოლო აკორდი! ყოვლად უცოდველს მდგომარეობაში ბედის სიმუხთლით დავკარგეთ ერის იმედი და რაინდი დიდი მერაბი /წმინდანები ხომ მხოლოდ სახელებით იხსენიებიან/.

დიდხანს ებრძოდა სულს მასთან ერთად დალეწილი, მაგრამ ვითომდა დარჩენილი ზურაბ ჭავჭავაძე, მაგრამ განგებამ არ მიაბრუნა ოჯახიდან გარეთ გასული...

ღმერთო, გაანათლე მათი სულნი! ღმერთო გვაკმარე!

### მერაბ კოსტავა



ფოტო გადაღებულია 1982 წლის ბოლოს, ანგარსკის ბანაკში.

იგი თოროსან რაინდთ უნდა შესძლოდა ბრძოლაში, რამეთუ იყო რაინდი უებრო და უშიში, ვითარცა უხორცო. ასეთმა რაინდებმა მოიგეს დიდგორი და ბასიანი, ასეთები შედიოდნენ ცხენდაცხენ, იარაღასხმულნი, დროშების ფრიალით იერუსალიმში, ასეთები განაგრძობდნენ ომს მარცხის შემდეგაც და დაუმარცხებელნი ეცემოდნენ ბრძოლის ველზე, როგორც მისი საყვარელი სიმღერის „შავლეგოს“ გმირი შალვა ახალციხელი.

ასწლეულების შემდეგ განგებამ მერაბ კოსტავა გამოარჩია ხორციელადაც და სულიერადაც ყოველივე ამის აღსადგენად და მანაც პირნათლად აღასრულა თავისი ვალი: არა ეთაყვანა ბომონს, ქედი არ მოუხარა მტარვალს, არ უმტყუნა თვისტომსა და ქაჯთაგან პყრობილ სამშობლოს. მისი აბჯარი პატიოსნება იყო, ფარი – სიმამაცე და მახვილი – სიყვარული. მან ბრძოლის ველზე განასრულა მოწამებრივი სიცოცხლე და ახლა ქართველთა ზეციური მხედრობის მეწინავე სადროშოს ალამი უპყრია ხელთ ბნელეთის ძალებთან უკანასკნელი, გადამწყვეტი შერკინებისათვის შემართულ – უფალო, ულხინე სულს ქრისტეს მხედრისას, მერაბ კოსტავასი!

### ზურაბ ჭავჭავაძე

ამქვეყნიური სიცოცხლე დაასრულა ზურაბ ჭავჭავაძემ, კაცმა გულოვანმა, შეუპოვარმა, შეუდრეკელმა, ერთგულმა, ჭეშმარიტმა ქართველმა, მართლმადიდებელმა ქრისტეანმა და თავისი დიდი გვარის ღირსეულად მატარებელმა. ორთვენახევარს ებრძოდა სიკვდილს და ლამის დასჯაბნა კიდეც, აკი ძარღვებში თავისი მხედარი წინაპრების სისხლი უჩქეფდა, მაგრამ სიკვდილი მაინც წამოეპარა.

საოცრად მოუღლელი იყო – იბრძოდა, იქ, სადაც სამშობლოს უჭირდა, ნამდვილი ქართველი გარეგნობა ჰქონდა – ვაჟკაცური, კეთილშობილი, გამორჩეული იყო გვარიშვილობითაც და პიროვნული თვისებებითაც, ერთგული და თავდადებული იყო და ეს აათკეცებდა მისივე მეგობრების საპასუხო გრძნობას, შესანიშნავი ოჯახი ჰყავდა – ღმერთმა მის სამ ქალიშვილს შეჰმატოს ის წლები, მას რომ დააკლდა, ის კი სულ ახალგაზრდა იყო – თებერვალში უსრულდებოდა 37 წელი; 28 დეკემბერს მის მიერ აღდგენილი ყვარლის წმინდა იოანე ნათლისმცემელის ეკლესიის მიწამ მიიღო მისი ნეშტი. ღმერთმა გაანათლოს ზურაბ ჭავჭავაძე!

ვახუშტი კოტეტიშვილი, ზურაბ კიკნაძე,
ნოდარ ებრალიძე, გიორგი ბაქანიძე, ვასილ ბურკაძე,
გიორგი გაბაშვილი, ივანე შატბერაშვილი.

---

საქართველოს მონარქისტული პარტიის ყველა გამოცემა იბეჭდება საწევროებისა და შემოწირულობათა ხარჯზე. რედაქცია იწვევს სათანამშრომლოდ ყველას, ვინც იზიარებს მონარქისტულ პოზიციებს.

სარედაქციო კოლეგია – პარტიის მეურვეთა საბჭო

საქართველოს მონარქისტული პარტიისა და სარედაქციო კოლეგიის საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის გასარკვევად ყველა დაინტერესებულ პირს ვთხოვთ მობრძანებას კ/თ „ქართული ფილმის“ /ყოფ. კ/თ „ქრონიკა“/ მეწამულ დარბაზში ყოველ ხუთშაბათს, 17.30-დან 19.00 საათამდე.

საქართველოს მონარქისტული პარტია მადლობას უცხადებს ქ. თბილისის წინდების საწარმოო გაერთიანების მუშათა კოლექტივს თანადგომისათვის.

პარტიის მეურვეთა /რეგენტთა/ საბჭო

სარედაქციო კოლეგია მადლობას უცხადებს ქალბატონ ცაცო კორკოლიანს და ბატონებს: თ. კვარაცხელიას, მ. კუხალეიშვილს, გ. ბარათაშვილს, გ. კოტრიკაძეს, ნომერზე მუშაობისას აღმოჩენილი დახმარებისათვის.

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო  კ ო ლ ე გ ი ა :
ა. ასათიანი, ზ. ასკანელი, ი. ბარათაშვილი,
მ. მაყაშვილი /რედაქტორი/, თ. კორკოლიანი.